მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი (აბი) №7 (480) (5781) 2021

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

გვახსოვდეს ცხრა აბი — წელს 18 ივლისი — მომხდურთა მიერ არაერთგზის დაქცეული სამშობლო ებრაელთა!

ეაე კონგრესის ლიდერები ისრაელის არჩეულ პრეზიდენტს შეხვდნენ

21 ივნისს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი, გენერალური დირექტორი ხაიმ ბენ იაკობი და ხაზინადარი მენახემ ბუშუევი ისრაელის ახლად არჩეულ პრეზიდენტს იცხაკ ჰერცოგს შეხვდნენ. ეაე კონგრესის ლიდერებმა იცხაკ ჰერცოგს კიდევ ერთხელ მიულოცეს პრეზიდენტად არჩევა და განიხილეს ერთობლივი მუშაობის პერსპექტივები. გეგმები კი უწინარესად უკავშირდება დიასპორის ებრაელობასთან მტკიცე კავშირს. ამ პროცესში მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ეაეკონგრესის წევრი 20 სახელმწიფოს ლიდერების — კონგრესის წარმომადგენელთა გააქტიურება. კონგრესი მზად გახლავთ ასეთი პლატფორმა გამოყენებული იქნას დიასპორის ებრაული თემებისა და ისრაელის დიალოგისათვის.

ეაე კონგრესის გენერალური ასამბლეა

29 ივნისს ონლაინ რეჟიმში — „ზუმში“ ჩართვით, გაიმართა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა. დღის წესრიგში გახლდათ 2020 წ. ფინანსური ანგარიში და 2021წ. ბიუჯეტის დამტკიცება. გენასამბლეიის სხდომა გახსნა კონგრესის გენდირექტორმა ხაიმ ბენ იაკობმა. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ეაე კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა:

— ძალიან რთული წლის შემდეგ, რომლის განმავლობაში ისრაელში დავძლიეთ პანდემიით გამოწვეული კრიზისი, უწინარესად გვაღელვებს სხვადასხვა ქვეყნების ებრაული თემების მდგომარეობა. ჩვენ კვლავაც მზადა ვართ, აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული დახმარება აღმოვუჩინოთ იმ თემებს, რომლებშიც ამის საჭიროება შეიქმნება — თქვა მიხ.მირილაშვილმა და დასძინა, რომ კონგრესის ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ისრაელის ახლადარჩეულ მთავრობასთან.

კონგრესის მუშაობის თაობაზე ისაუბრეს მისმა თავმჯდომარემ აარონ ფრენკელმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტებმა თეიმურაზ ხიხინაშვილმა, ვადიმ რაბინოვიოჩმა, დავით იაკობაშვილმა, ვიცეპრეზიდენტებმა ვიქტორ ნეიშულინმა, მოშე შვეცმა, ალექსანდრ ბილინკისმა და სხვებმა. კონგრესის მუშაობაში სპეციალური სტუმრების სახით მონაწილეობდნენ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენდირექტორის მოადგილე გერი ქოენი, ყოფილი საბჭოთა დისიდენტი ნათან შჩარანსკი, ისრაელის მთავრობის სახელით გენასამბლეიის მონაწილეებს მიესალმა ისრაელის ტურიზმის მინისტრი კ. რაზვოზოვი.

ისაუბრეს სხვადასხვა სახელმწიფოთა ებრაული თემების წარმომადგენლებმა, ინდოეთის ებრაული თემის ლიდერმა ჯუდა სამუელმა მადლიერება გამოხატა იმის გამო, რომ კონგრესი ზრუნავს ინდოეთის ებრაულ თემზე — ყოველი ფესახის წინ აწოდებს მაცას და გენასამბლეას აუწყა, რომ მალე ინდოეთში — პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, სხვა ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწის — შიმონ პერესის ძეგლი გაიხსნება.

მნიშვნელოვანი შეთანხმება

საქართველოს 1000-მდე მოქალაქე დროებით ისრაელის მოხუცთა თავშესაფრებში დასაქმდება

30 ივნისს ისრაელის კონსულმა სმადარ ცემახ-რაცაბიმ მიიღო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომდგენლები. შეხვედრაზე განხილული იქნა ახლახან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების იმპლემენტაცია, რომელიც გულისხმობს ისრაელის მოხუცთა თავშესაფრებში 1000-მდე საქართველოს მოქალაქის დროებით დასაქმებას.

რელიგიური ლიდერების სარჩელი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო ცხრა რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი.

რელიგიური დანიშნულების საგნების უცხო ქვეყნებიდან იმპორტირებისას, მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ყველა სხვა რელიგიურ ორგანიზაციას იმპორტის და დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდის ვალდებულება ეკისრება.

მსგავსი მიდგომით, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცული თანასწორობის უფლება.

საქართველოს ებრაელთა კავშირში

საქართველოს ებრაელთა კავშირმა მოამზადა და გამოსცა ლევან დოლიძის წიგნი „საქართველოს ებრაელთა წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში“ ქართულ და რუსულ ენებზე .წიგნში მოთხრობილია საქართველოს ებრაელების მონაწილეობის ეპიზოდების შესახებ კაცობრიობის ისტორიაში- ყველაზე სისხლიანი და დამანგრეველი ომის დროს. ომისა, რომელმაც 27 მილიონ სხვა ეროვნების ადამიანებთან ერთად შეიწირა 6 მილიონი ებრაელის სიცოცხლე. საქართველოს ებრაელები სხვა ხალხებთან ერთად მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ფაშისტებს, რამეთუ ამ ომში დამარცხების შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ებრაელი ერის არსებობა. ბევრი ადამიანი შეეწირა ამ კატასტროფას.

მარადიული ხსოვნა მათ სულებს, დიდება ყველა დაღუპულს და უგზოუკვლოდ დაკარგულს.

ამ ნაშრომის გამოცემის უპირველესი მიზანი სწორედ ომში დაღუპულების და უგზოუკვლოდ დაკარგულების სულების უკვდავყოფაა, ასევე ჩვენს გვერდით მყოფი ომის ვეტერენებისადმი პატივისცემისა და მადლიერების გამოსახატავად, მაგრამ არანაკლებ გვჭირდება ის ჩვენ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომ იცოდნენ და პატივი მიაგონ გმირი წინაპრების ხსოვნას, მითუმეტეს დღევანდელ რეალობაში, რამეთუ მომრავლდნენ უსახური და ყოველგვარ მორალს მოკლებული ვაიპოლიტიკოსები, ვაიმწერლები და ვაი პატრიოტები, რომლებიც დაკავებულნი არიან ისტორიის გადაწერით რათა დააკნინონ ომში მონაწილეთა მოტივაცია და გამარჯვებისთვის გაწეული დამსახურებები.

წიგნში ასევე იხილავთ ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულების და დაღუპული საქართველოს ებრაელების სიებს, დასანანია რომ სავარაუდოდ ბევრი ადამიანის შესახებ ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მათ სულებს,

ამ წიგნს კი ვუძღვნით მე-2 სამამულო ომის ყველა მონაწილეს, ომში დაკარგულებისა და დაღუპული მეომრების მარადიულ ხსოვნას.

მადლობა წიგნის ავტორს - ბატონ ლევან დოლიძეს და გამოცემაზე მომუშავე ჯგუფის ყველა წევრს.

მერაბ ჩანჩალაშვილი

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ისრაელის ახალი მთავრობა

13 ივნისს ისრაელის ქნესეთმა დაამტკიცა ახალი — არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული კოალიციური მთავრობა. მთავრობაში 27 მინისტრია. ამათ შორის 9 ქალია.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი — ნაფტალი ბენეტი(პატია ,,იამინა“)

49 წლის, ჰყავს 4 შვილი, ცხოვრობს რაანანში. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ეკონომიკის, თავდაცვის და განათლების სამინისტროებს, დააფუძნა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გახლავთ ლიდერი პარტიისა ,,ებრაელთა სახლი“ და ,,ახალი მემარჯვენეები.“ ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მეწარმეობით საქმიანობას ეწეოდა, მილიონერია, კატეგორიულად ეწინააღმდეგება იდეას ,,ორი ხალხი — ორი სახელმწიფო“ — ე.ი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. არჩევნების შემდეგ ნეთანიაჰუ სთავაზობდა შეერთებოდა კოალიციას და მონაცვლეობით ყოფილიყვნენ პრემიერ-მინისტრი — ჯერ ნეთანიაჰუ, მერე — ბენეტი. შეთავაზება არ მიიღო: ნეთანიაჰუმ ბენი განცი მოატყუაო. მიიღო იაირ ლაპიდის შეთავაზება და შქმნეს კოალიცია.

ალტერნატიული, როტაციული პრემიერ-მინისტრი, ამჯერად საგარეო საქმეთა მინისტრი იაირ ლაპიდი

57 წლის, ცოლშვილიანი, 3 შვილის მამა, ცხოვრობს თელ-ავივში, 2013-20 წლებში ხელმძღვანელობდა ფინანსთა სამინისტროს, შემდეგ იყო ოპოზიციის ლიდერი, პროფესიონალი ჟურნალისტია — 2012 წლამდე მუშაობდა გაზეთებში ,,მაარივი“, ,,იედიოთ ახრონოთი“, ტელევიზიის მეორე (ამჟამად მე12)არხზე.

თავდაცვის მინისტრი ბენი განცი (პარტია ,,კახოლ ლავანი“)

62 წლის, დაოჯახებული. ჰყავს 4 შვილი, ცხოვრობს როშ აინში, მეთაურობდა ისრაელის გენშტაბს. სხვადსხვა დროს გახლდათ თავდაცვის, კავშირგაბმულობისა და იუსტიციის მინისტრი. თადარიგის გენერალ-ლეიტენანტია, პოლიტიკაში 2018 წ. ჩაერთო.

ფინანსთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი (,,ჩვენი სახლი ისრაელია“ ,,ჩსი“)

დაიბადა კიშინიოვში. 1978 წ. მშობლებთან ერთად ჩავიდა ისრაელში, 62 წლის, ცოლშვილიანი, ჰყავს 3 შვილი, ცხოვრობს სოფელ ნოკდიიმში. პოლიტიკური ცხოვრება დაიწყო პარტია ,,ლიკუდში“. ქნესეთში პირველად აირჩიეს 1999წ. როგორც პარტია ,,ჩვენი სახლი ისრაელიას“ მეთაური. სხვადასხვა დროს იყო ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრი.

შინაგან საქმეთა მინისტრი — აელეტ შეკედი (პარტია ,,იამინა“)

45 წლის,ორი შვილის დედა, ცხოვრობს თელ-ავივში. 2006-08 წლებში მუშაობდა ოპოზიციის ლიდერის — ბინიამინ ნეთანიაჰუს კანცელარიაში, 2010 წლიდან ნაფტალი ბენეტთან ერთად შექმნა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ქნესეთში აირჩიეს 2013 წ. როგორც პარტია ,,ებრაელთა სახლის“ წარმომადგენელი. 2015-19 წლებში იყო იუსტიციის მინისტრი.

განათლების მინისტრი იფატ შაშა-ბიტონი (პარტია ,,თიკვა ხადაშა“)

48 წლის, დაოჯახებული, ჰყავს 3 შვილი, ცხოვრობს ზიხრონ იაკობში, აქვს პედაგოგიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ქნესეთის წევრია 2015 წლიდან, მეთაურობდა კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საპარლამენტო კომისიას. შეზღუდვების გამო ხშირად უპირისპირდებოდა ჯანმრთელობის სამინისტროს.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ნიცან გოროვიცი (,,მერეცი“)

56 წლის, სამოქალაქო ქორწინებაში, ცხოვრობს თელ-ავივში, ჟურნალისტია, ხელმძღვანელობს მე-10 არხის ახალი ამბების რედაქციას, იყო თელ-ავივის საქალაქო საბჭოს წევრი, კენჭს იყრიდა ქალაქის მერობაზე, ქნესეთში პირველად აირჩიეს 2009წ. პარტია,,მერეცის“ ლიდერი.

იუსტიციის მინისტრი გიდეონ საარი (,,თიკვა ხადაშა“)

53 წლის. ჰყავს 4 შვილი, ცხოვრობს თელ-ავივში, იურისტი, ქნესეთშია 2003 წლიდან. სხვადასხვა დროს გახლდათ მთავრობის მდივანი, განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრი. 2020წ. პრაიმერიზში დამარცხების შემდეგ, ,,ლიკუდიდან“ გამოვიდა და შექმნა თავისი პარტია, რომელმაც ქნესეთის ბოლო არჩევნებში 6 მანდატი მოიპოვა.

ეკონომიკის მინისტრი — ორნა ბარ-ბივაი (,,ეშ ათიდ“)

58 წლის, სამი შვილის დედა, ცხოვრობს თელ-ავივში, კადრის ოფიცერია, 2011 წ. პირველი ქალი გახლდათ, რომელმაც მიიღო გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. ხელმძღვანელობდა ,,ცაჰალის“ კადრების სამმართველოს. 2020 წ. პარტია ,,კახოლ-ლავანის“ გახლეჩვის შემდეგ, ოპოზიციაში დარჩა, ქნესეთის საზღვარგარეთისა და თავდაცვის კომისიების წევრი.

შინაგანი უსაფრთხოების მინისტრი ომერ ბარ-ლევი (,,ავოდა“)

67 წლის, დაოჯახებული, ჰყავს სამი შვილი, ცხოვრობს დასახლება კოხავ იაირში, გახლდათ საკადრო ოფიცერი. მეთაურობდა ცაჰალის გენერალური შტაბის სპეცდანიშნულების რაზმს. პარტია ავოდაშია 1996 წლიდან, ქნესეთში — 2013 წლიდან.

რეპატრიაციისა და ინტეგრაციის მინისტრი პნინა შამანო-შატა (,,კახოლ ლავან“)

39 წლის, ორი შვილის დედა, ცხოვრობს ფეთახ-თიკვაში, 2006 წელს შექმნა მოძრაობა ,,ეთიოპიიდან გამოსულთა თანასწორობისათვის.“ მონაწილეობდა რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ კომპანიებში. 2013 პარტია ,,ეშ ათიდის“ სიით შევიდა პარლამენტში, გახლდათ ვიცე სპიკერი, ,,კახოლ ლავანის“ ბლოკის გახლეჩვის შემდეგ, მხარი დაუჭირა ბენი განცს.

მშენებლობისა და იერუსალიმის საქმერთა მინისტრი ზეევ ელკინი(,,თიკვა ხადაშა“)

50 წლის, დაოჯახებული, დაიბადა ხარკოვში, 1990წ. ჩავიდა ისრაელში, ცხოვრობს იერუსალიმში, პოლიტიკური კარიერა დაიწყო პარტიაში ,,კადიმა“, სააიდანაც 2006 წ. აირჩიეს პარლამენტში, მერე გადავიდა ,,ლიკუდში“. ნეთანიაჰუს ხელისუფლებისას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა რამდენიმე სამინისტროს. ბოლო არჩევნების წინ ,,ლიკუდიდან “ გამოვიდა და ,,თიკვა ხადაშას“ შეუერთდა.

შრომისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი მეირ ქოენი (,,ეშ ათიდ“)

65 წლის, სამი შვილის მამა, ცხოვრობს დიმონაში 2003-13 წლებში ხელმძღვანელობდა საქალაქო მუნიციპალიტეტს, შემდეგ ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებში ეჭირა მნიშვნელოვან პოსტები, 2013წ. პარტია ,,ეშ ათიდის“ სიით აირჩიეს ქნესეთში.

ტრანსპორტის მინისტრი მეირავ ქოენი (,,ავოდა“)

54 წლის,სამოქალაქო ქორწინებაში, ცხოვრობს თელ-ავივში, ჟურნალისტი, რადიოსადგურ ,,გალგაცის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ქნესეთის დეპუტატი პირველად 2013 წელს გახდა.,,ავოდას“ თავმჯდომარე.

კავშირგაბმულობის მინისტრიო იოაზ გენდელი (,,თიკვა ხადაშა“)

45 წლის, დაოჯახებული, 4 შვილის მამა, ცხოვრობს მოშავში ნეს ჰარიმ — იერუსალიმის მთიანეთში, სპეციალობით სამხედრო ისტორიკოსია, გაზეთ ,,იედიოთ ახრონოთში“ ჰქონდა თავისი სვეტი, 2020 წ. შეუერთდა პარტიას ,,თიკვა ხადაშა“

ენერგეტიკის მინისტრი კარინ ელხარარი(,,ეშ ათიდ“)

43 წლის, ორი შვილის დედა, ცხოვრობს რიშონ ლე ციონში. იურისტი, ქნესეთში პირველად 2013 წ. აირჩიეს, მეთაურობდა მთელ რიგ საპარლამენტო კომისიებს, მათს შორის, სახელმწიფო კონტროლის კომისიას.ამჯერად საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეა.

ეკოლოგიის მინისტრი თამარ ზანდ-ბერგი (,,მერეცი“)

45 წლისა, ორი შვილის დედა, ცხოვრობს თელ-ავივში, ისრაელის ქალთა ორგანიზაციებში ეჭირა მნიშვნელოვანი თანამდებობები. იყო თელ-ავივის საქალაქო საბჭოს წევრი, ქნესეთში პირველად 2013 წელს შევიდა, იყო შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის საპარლამენტო კომისიის წევრი, ხელმძღვანელობდა ცხოველთა დაცვის საპარლამენტო ლობის, 2018-19 წლებში პარტია ,,მერეცის“ თავმჯდომარე.

სოფლის მეურნეობისა და გალილეისა და ნეგევის განვითარების მინისტრი ოდედ ფორერი (- პარტია “ჩსი“)

44 წლის, დაოჯახებული, სამი შვილის მამა, ცხოვრობს დასახლება მიშმარ დავიდში, 2013 წ. დაინიშნა ალიისა და აბსორბციის სამინისტროს გენერალურ დირექტორად. ქნესეთშია 2015 წლიდან, გახლდათ საფინანსო კომისიის წევრი. 2020-21 წლებში მეთაურობს ქალთა სტატუსისა და გენდერული თანასწორობის კომისიას.

რეგიონალური თანამშრომლობის მინისტრი ისაუი ფრეიდჟი (,,მერეცი“)

57 წლის,7 შვილის მამა, ცხოვრობს ქფარ-კასემში აუდიტორი , ქნესეთში პირველად 2013 წ. აიჩიეს, გახლდათ ვიცე სპიკერი, ისრაელის ისტორიაში ეს მეორე მუსლიმია, რომელიც მინისტრის პოსტს იჭერს,

ინოვაციისა და მეცნიერების მინისტრი ორით ფარკშ-ჰაქოენი (,,კახოლ-ლავანი“)

50 წლის, ოთხი შვილის დედა, ცხოვრობს იერუსალიმში, იურისტია, 20 წელი მუშაობდა სახელმწიფო აპარატში, მათს შორის, ანტიმონოპოლურ უწყებაში, მეთაურობდა ელექტროენერგიის საზოგადოებრივ სამმართველოს, 2019 წ. შეუერთდა ბენი განცის პარტიას. ეჭირა ტურიზმის მინისტრის პოსტი.

ტურიზმის მინისტრი კონსტანტინე (იოელ) რაზვოზოვი (,,ეშ ათიდ“)

40 წლის, 2 შვილის მამა, ცხოვრობს ნეთანიაში, ისრაელში ჩავიდა 1991წ. ძიუდოისტი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2004წ.) ქნესეთში პირველად შევიდა 2013წ. ,,ეშ ათიდის“ სიით. მეთაურობდა რეპატრიაციისა და ინტეგრაციის საპარლამენტო კომისიას, სპორტისა და სპორტული ცხოვრების წესის ლობის.

დაზვერვის საქმერთა მინისტრი ელაზარ შტერნი (,, ეშ ათიდი“)

64წლის, ხუთი შვილის მამა, ცხოვრობს იზრაელის ველის დასახლება ოშაიაში, საკადრო ოფიცერი, მეთაურობდა ცაჰალის კადრების განყოფილებას, თადარიგის გენერალ მაიორია, ქნესეთში 2013 წ. შევიდა, გახლდათ თავდაცვისა და საზღვარგარეთის საქმეთა კომისიის წევრი.

დიასპორის საქმეთა მინისტრი ნახმან შაი(,,ეშ ათიდი“)

74 წლის,სამი შვილის მამა, ცხოვრობს მევასერეთ ციონში, კადრის ოფიცერი, გახლდათ ცაჰალის პრეს-სამსა ხურის ხელმძღვანელი, თადარიგის გენერალი, 2009-19 წლებში ქნესეთის დეპუტატი, იყო ქნესეთის ვიცე-სპიკერი

კულტურისა და სპორტის მინისტრი ხილი ტრუპერი (,,კახოლ ლავანი“)

43 წლის, ოთხი შვილის მამა, ცხოვრობს იერუსალიმის მთებში — მოშავ ნეს-ჰარიმში, მუშაობდა რთულად აღსაზრდელ ბავშვთა განათლების სისტემაში, დააფუძნა რამდენიმე არაკომერციული ორგანიზაცია, გახლდათ განათლების მინისტრის მრჩეველი, იერუხამის მუნიციპალიტეტში ხელმძღვანელობდა კულტურის განყოფილებას, ქნესეთშია 2019 წლიდან.

სოციალური და გენდერული თანასწორობის მინისტრი მეირავ ქოენი(,,ეშ ათიდი“)

37 წლის სამი შვილის დედა, ცხოვრობს იერუსალიმში, გახლდათ დედაქალაქის საქალაქო საბჭოს წევრი, ქნესეთშია 2019 წლიდან, 2020 წ. დაინიშნა სოციალური და გენდერული თანასწორობის მინისტრად. 2021 წ. გადავიდა პარტიაში ,,ეშ ათიდ.“

მინისტრი ფინანსთა სამინისტროში ხამად ამარი (,,ჩსი“)

56 წლის, სამი შვილის მამა, ცხოვრობს შფარამში, ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობს ისრაელის დრუზი ახალგაზრდების ასოციაციას, ქნესეთშია 2013 წლიდან. რამდენიმეჯერ ეჭირა ვიცე სპიკერის პოსტი.

მინისტრი ისრაელის რელიგიურ მომსახურებათა სამინისტროში ნათან კახანა (,,იამინა“)

48 წლის, ოთხი შვილის მამა, ცხოვრობს მოშავში ბეით გამლიელი, კადრის ოფიცერი, ნაფტალი ბენეტთან ერთად მსახურობდა ცაჰალის სპეცდანიშნულების რაზმში, სამხედრო მფრინავი, თადარიგში გავიდა პოდპოლკოვნიკის ჩინით, ქნესეთშია 2019 წლიდან, ხელმძღვანელობდა რელიგიური მომსახურების ხარისხის ამაღლების საპარლამენტო ლობის.

ლევან შემეშის ბოლო პერიოდის აბსტრაქცია
(მიმოხილვა)

ზოგადად, აბსტრაქციის, როგორც მიმდინარეობის ფენომენი - ამოუხსნელია! აბსტრაქტული ნამუშევრის ნებისმიერი ზუსტი განსაზღვრება ვინმეს მიერ, ფაქტობრივად შეუძლებელია! გარდა ავტორისა, არავინ იცის ზუსტად რა ჰქონდა ჩაფიქრებული მხატვარს მუშაობის პროცესში.

ლევან შემეშის ნამუშევრების ბოლო პერიოდის ციკლს, ცალკე მიმდინარეობად გამოვყოფ, პირობითად ,,ლევანიზმს" დავარქმევ და ვეცდები ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ:

ჩემი აზრით, ამ ციკლის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ტილოზე მიმობნეული მცირე დეტალები, ქმნიან მცირე ფერწერულ პერფორმანსს. ეპიზოდურად დაყოფილი სიუჟეტი ამ ციკლის თანმდევი ეფექტია! მიუხედავად იმისა, რომ ამ ნამუშევრებში გამოსახულება ზოგჯერ ბუნდოვანი ხდება, ან მკვეთრად იცვლება სიუჟეტური ხაზი, ეს აღიქმება მხატვრულ თამაშად და მოცემულ აბსტრაქტულ ნამუშევრებს ოდნავადაც არ უკარგავს ხიბლს! მთლიანობაში, ციკლში შესული ყველა ნამუშევარი ინარჩუნებს ერთი მთლიანის განცდას! სიუჟეტი კვლავ ინარჩუნებს ორიგინალურად გადაწყვეტილი აბსტრაქტული ფიგურის მთავარ არსს. გადატანითი მნიშვნელობით, ჩვენ მხატვრის მიერ შექმნილ სამყაროში ვმოგზაურობთ, მის მიერ შექმნილ მხატვრული რეალობის სტუმრები ვხდებით!..

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ლევან შემეშის მიერ აღმოჩენილ ჯადოსნურ სამყაროში!

ამ ციკლში შესულ ზოგიერთ ნახატს, განსხვავებული ფაქტურა აქვს: მათ თითქოს არ აქვთ რაიმე რეალური მითითება ავტორისგან, შეიძლება მივიღოთ როგორც უბრალოდ ფორმალური აბსტრაქცია. მაგრამ, გამოცდილი და დაკვირვებული ხელოვნების შემფასებელი, ადვილად ამოიცნობს ამ ნამუშევრებში პანდემიის უძრაობის ხანას, როდესაც, ისევე როგორც ყველა, მხატვარიც აპროტესტებს მძიმე რეალობას. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მხატვარის პროტესტი მისივე შთაგონების წყაროდ იქცა და ჩემი აზრით, სწორედ ამ პროტესტმა შთააგონა მხატვარი, სამყაროს საკუთარი მოდელი შეექმნა! (შეიძლება ვცდები, მაგრამ ზოგიერთმა ნახატმა, მე, პირადად, ასეთი განცდა დამიტოვა!)

აბსტრაქტული ხელოვნების სფეროში არსებობს რამდენიმე ასპექტი, როგორიცაა გეომეტრიული აბსტრაქცია, ფორმალიზმი და ექსპრესიონისტული აბსტრაქცია. ცხადია, ყოველი ამ ასპექტთაგანი თავისებურად საინტერესოა და აბსტრაქციის მოყვარულთათვის, რთული არაა ამ ასპექტების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ჩვენთვის ეს ცოტა რთული იქნება, რადგან ბატონ ლევანს, როგორც ჩანს, სამივე ასპექტი გათვალისწინებული აქვს თავის შემოქმედებაში. მხატვარი უდავოდ დიდ ტექნიკურ მზაობასთან ერთად, ფრთხილი ორგანიზატორის ნიჭსაც ფლობს! ფორმალიზმი, როგორც ასეთი, ძალიან საფრთხილო ასპექტია! მხატვრის ყურადღება მხოლოდ მოცემულ ფორმას ეთმობა და მის აზრს, მნიშვნელობას თითქოს ყურადღება აკლდება! დააკვირდით ამ ციკლში მოცემული ნახატების დახვეწილ ფორმებს, შემდეგ კი ეცადეთ აღმოაჩინოთ მხატვრის მიერ ფორმებში განვრცობილი და ჩვენამდე მოტანილი იდეა: - სამყაროს მოდელის მხატვრისეული აღქმა! რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, გვაქვს ფორმალიზმის უბადლო ნიმუში, გვაქვს გეომეტრიული აბსტრაქცია და ეპიზოდურად, დეტალებში გაფანტული ექსპრესიონისტული აბსტრაქცია!

კარგად მოგეხსებებათ, რომ აბსტრაქტული ხელოვნების კარგად გასაგებად, საჭიროა მკაფიოდ გავმიჯნოთ ფიგურაცია აბსტრაქციისგან, რადგან ისინი სრულიად საწინააღმდეგო ცნებებია. ბატონი ლევან შემეშის შემოქნედება აბსოლუტურად ემიჯნება ფიგურაციას, მიუხედავად იმისა, რომ მყიფე ზღვარი აქვს დატოვებული მათ შორის, (დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი სულაც არაა შემთხვევითობა! თუ ალღო არც ამჯერად მღალატობს, საქმე გვაქვს ინტელექტუალ მხატვართან, რომელიც თავის შემოქმედებაში უამრავ მახეს შეგნებულად ტოვებს!) მაინც წმინდა წყლის აბსტრაქციასთან გვაქვს საქმე და მხატვრის ინტელექტიც საკმაოდ კარგად ჩანს მისივე შემოქმედებაში!

ესთერ ჯანაშვილი

წარმატების საიდუმლო — თავდაუზოგაობა

ლევან შემეშის (შიმშილაშვილი) ხელოვნებაზე იმდენი რამ მსმენია, რომ დანაშაულად მიმაჩნდა არ გავცნობოდი. ის, რომ მისი ნამუშევრები განსხვავდებიან სტილით, შინაარსით და ფერების შეზავებითაც კი, ცნობისმოყვარეობას მიცხოველებდა და აი, ჩვენი შეხვედრაც შესდგა.

ლია კრიხელი: ბატონო ლევან, არ დაგიმალავთ, რომ მეწადა თქვენთან შეხვედრა და მადლობელი ვარ, რომ დამთანხმდით. გვიამბეთ, როდის დაიწყეთ ხატვა და რა ჰქვია მხატვრობაში თქვენს მიმართულებას?

ლევან შემეში: მოწვევისთვის მადლობას მოგახსენებთ . მე თავად არ მახსოვს, როდის დავიწყე ხატვა, მაგრამ დედის ნაამბობით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან ადრე, 2–3 წლის ასკში ამიღია ფანქარი და დამიხატავს რაღაც. დედას ყველაფერი შენახული ჰქონდა და ასე შემომრჩა ის „შედევრები". ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩემი უჩვეულო გატაცებით, მივიქციე დედის ყურადღება. ცოდვა გამხელილი ჯობიაო და გამოგიტყდებით, რომ სკოლის მაგიერ, ტყეში მივდიოდი, განცელკევებული, მშვიდ ატმოსფეროში თავდავიწყებით ვხატავდი. „გაკვეთილების შემდეგ" ჩვეულებრივ ვბრუნდებოდი სახლში და ჩემს მშობლებს ეჭვის ნატამალიც არ ჰქონდათ შვილის საქციელზე. ჩემი უფროსი ძმის მიერ გადაყრილი საღებავების თუნუქის ეგრეთ- წოდებულ ,,ტიუბიკებს"გადავჭრიდი ხოლმე და საღებავის ნარჩენებს სახატავად ვიყენებდი. ყველას მიაჩნდა, რომ საღებავებისთვის ჯერ პატარა ვიყავი და არც შეუმჩნევიათ ეს. რაც შეეხება მიმართულებას, არასდროს არავისთვის არ მიმიბაძავს და არ გამიმეორებია, თუნდაც უდიდესი მხატვრების სტილი. ამრიგად, მე ჩემი სტილი გამომიმუშავდა, ორიგინალური, ჩემებური და ხუმრობით მას „ლევანიზმს" ვუწოდებ.

ლ. კ. დედა ახსენეთ, თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი ოჯახის თაობაზე.

ლ. შ. 1962 წელს დავიბადე ონში, მამას, ფილხაზ შიმშილაშვილს, აშკარად ჰქონდა მიდრეკილება ხელოვნებისკენ: უკრავდა ფანდურზე, მღეროდა და შესანიშნავად ცეკვავდა. ბინების შეკეთება–რემონტების ბრიგადას უძღვებოდა და შეკ–ვეთებიც ბლომად ჰქონდა. დედა, მარგალიტა შიმშილაშვილი, კარგი დიასახლისისა და ბავშვების აღმზრდელის გარდა, შესანიშნავი მწიგნობარი გახლდათ. არ ვიცი როგორ ახერხებდა, მაგრამ ძალუძდა ორასგვერდიანი წიგნი, ერთ–ორ დღეში დაემ–თავრებინა. მშობლებმა ჩემს უფროს ძმებს თანახისეული სახელები მისცეს, აბრამ, იცხაკ, იაკობი. აბრამი თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია. იაკობი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექტორი გახლდათ მხაზვე–ლობით გეომეტრიაში, მეც კი მიკითხავდა ამ საგანს. იცხაკი, უახლოესი მეგობრის სოლიდარობის გამო, რომელიც ჯარში გაიწვიეს, მალე შეუერთდა მას, ხოლო ჯარის შემდეგ, ბიზნესს მიჰყო ხელი. სამივე დაოჯახებულია და შვილიშვილებიც ჰყავთ.

ლევან შემეშის თვალით დანახული ონი

ლ. კ. თუ სწორად გავიგე, თქვენც პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრეთ?

ლ. შ. არა, მე ვსწავლობდი სულხან საბას სახელობის პედაგოგიურ ინატიტუტში, სადაც ლაბორატორიების სიმცირის გამო, აკადემიიდან ქობულაძის ხაზვა–ხატვის კათედრა გადავიდა. ინსტიტუტის შემდეგ, ისევ ონში დავბრუნდი და ისრაელში ამოსვლამდე, ხატვის მასწავლებლად ვმუშაობდი. ვინც ისრაელში ამოსვლის გადაწყვეტილებას მიიღებს, მან იცის, რომ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს. გამონაკლისს არც მე წარმოვადგენდი.

ლ. კ. იქნებ, ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით გვიამბოთ.

ლ. შ. არაფერი განსაკუთრებული. ყველას ერთი რამ აწუხებდა: ენის უცოდი–ნარობა და დასაქმება. მე ამოვედი ხანშიშესულ მშობლებთან ერათდ. ისე, რომ პასუ–ხისმგებლობა მთლიანად ჩემს თავზე ავიღე. ულფანში ვსწავლობდი და აზრებით ოჯახს დავტრიალებდი და პირიქით, სახლში ყოფნისას უნდა მომესწრო მეცადინე–ობაც და ყოფითი პრობლემების მოგვარებაც. ასე იყო თუ ისე, ენა ავითვისე და მუშაობაც დავიწყე მასწავლებლად, მაგრამ ფუნჯი გვერდზე არ გადამიდია. თავი–დან მქონდა პატარ–პატარა შეკვეთებიც. სამდურავი ნამდვილად არ მეთქმის, ახალა–მოსულის კვალობაზე კარგად მოვეწყე.

ლ. კ. რას აფასებთ საკუთარ თავში?

ლ. შ. ცოტა უხერხულია საკუთარ ღირსებებზე ლაპარაკი, მაგრამ დაუფარავი სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემს დადებით მხარედ მაინც შრომისმოყვარება მიმაჩნია. სირთულეებს არ გავურბივარ და თუ რაიმე პრობლემატურია, იქ უფრო შუპოვარი ვარ და ჯიქურ ვმოქმედებ. მხატვრის შემოქმედება, თავის დაზოგვას ვერ ეგუება. მაგალითად, წუხელ ღამის 10 საათზე რომ დავიწყე ხატვა, დილის 6 საათამდე თავი არ ამიწევია და თვალზე რული არ მომკარებია.

ლ. კ.საინტერესოა ისიც ვიცოდეთ: რა არ მოგწონთ თქვენს ხასიათში?

ლ. შ. როგორც ყველა მოკვდავს, მეც მაქვს ხასიათში ის, რასაც თავად ვაკრიტიკებ. ჩემი დაკავებულობისა და დროის სიმცირის გამო, ახლობლებთან და მეგობრებთან ხშირად შეხვედრა არ გამომდის. ალბათ მელიან, მაგრამ მჯერა, რომ არ მემდურიან. მეც კი მაკლია მათი ნახვა და თბილი შეხვედრები. ვიცი, რომ მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინო, მაგრამ რა გაეწყობა, ხატვაზე წინ, ვერაფერს ვაყენებ.

ლ. კ. მიჭირს იმის დაჯერება, რომ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევით. მაინც, თქვენი ურთიერთობის წრეს ვინ წარმოადგენს?

ლ. შ. კოლეგები, ახალგაზრდა და უფრო ზრდასრული მოსწავლეები ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყრელი ნაწილია. საერთო თემების განხილვა, გამო–ფენებში მონაწილეობა, ან ჟიურის წევრობა, ძალაუნებურად მიქმნის ურთიერთობის წრეს. მყავს აბითურიენტები, მე მათ სწორი მიმართულებისა და საკუთარი ხელწერის ჩამოყალიბებაში ვეხმარები. აქედან გამომდინარე, პროფესიული ურთიერთობები სჭარბობს და ამხანაგებთან გასართობად, ნაკლებად ვიცლი. ისე კი, ძალიან სასურველია, იმასაც ხომ თავსი სიტკბოება ახლავს.

ლ. კ. ხელოვნების კიდევ რომელი სფერო გიყვართ? თუ მუსიკა, რომელი ჟანრი, იქნებ, ლიტერატურა, ან თეატრი?

ლ. შ. რა თქმა უნდა, რომ მიყვარს ხელოვნების ყველა დარგი. კინო, თეატრი, მუსკა. თეატრი ბავშვობიდან მიყვარდა. ონის სცენაზე არაერთი როლი ვითამაშე. სწორედ იქ შევხვდი პირველად ბატონ გურამ ბათიაშვილს — გიგა ჯაფარიძის რეჟისორობით დადგმულ მის ერთ-ერთ პიესაში ვთამაშობდი. მუსიკაში გამოვყოფდი ესპანურ გიტარას, ბაკო დე ლუსიას კლასს. აგრეთვე გამოვყოფდი ძველ ანსამბლებს, როგორიცაა: ბიკფლოიდი, იურიან ჰიპი, ბითლსები,

რომლებსაც დღემდე სიამოვნებით ვუსმენ. ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა. სწორედ დღეს, ბეთჰოვენის მუსიკის ფონზე ვხატავდი ჩემს აბითურიენტებთან ერად. ლიტერატურაც მიყვარს და მეტად დასანანია, რომ კითხვისთვის დრო ნაკლებად მრჩება.

ლ. კ. როგორია ოჯახის დამოკიდებულება თქვენი საქმიანობისადმი?

ლ. შ. გამოგიტყდებით, რომ ჩემი დედ–მამა ყველაზე ობიექტური გელშემატკივრები და შემფასებლები იყვნენ. ჩემი ძმებისთვის ჩვეული მოვლენაა, თუ სად და როდის უნდა ნახონ ჩემი ნამუშევრები, ჩვენ მზერითაც ვუგებთ ერთმანეთს. რაც შეეხება ჩემს ქალიშვილს, მაორი მალე 15 წლის ხდებადა მე-9 კლასშია. ძალიან სერიოზული და მოწესრიგებული გოგონაა. არ უყვარს ზედმეტი ლაპარაკი და მაინც ემოციურია ჩემი ნახატების მიმართ. „პრემიერული“ ჩვენება, მისი ხვედრია — პირველად მას ვაჩვენებ ხოლმე და თუ მოსვლას ვერ ახერხებს, სურათს ვუგზავნი, რომ შემიფასოს. ზედმეტ ქათინაურებს ერიდება, მაგრამ ძალიან ფაქიზად იცის აზრის გამოხატვა — ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ჩემთვისაც არ არის მისაღები ზედმეტი ქება–დიდება.

ლ. კ. გაქვთ თუ არა ბიოგრაფიული ტილო შექმნილი?

ლ. შ. ამ შეკითხვამ დამაფიქრა, არა მაქვს მსგავსი რამ, მაგრამ გავითვალისწინებ და აუცილებლად შევქმნი. ბავშვობაში გატაცებული ვიყავი ფოტოების შეგროვებით. დედაჩემი სათუთად ინახავდა მათ, რის წყალობითაც, ამ ფოტოებმა შემომინახეს ბიოგრაფია. დღეისათვის მაქვს ებრაელების ყოფის ამსახველი საკმაოდ კარგი არქივი. მე თუ მკითხავთ, თვითონ ჩემი ნაწარმოებები მეტყველებენ ჩემზე, ასახავენ ჩემს მსოფმხედველობასა და დამოკიდებულებას ცხოვრების სხვადასხვა მოვლენების მიმართ.

ლ. კ. როგორ იცავთ თქვენს მორალურ პრინციპებს? დღევანდელ ცხოვრებაში ადამიანმა გაუძლოს ათასნაირ ცთუნებას და შეინარჩუნოს საკუთარი პრინციპები, მორალური სისპეტაკე, ჩემი აზრით, ძალიან რთულია. როგორ ახაერხებთ ამას?

ლ. შ. პრინციპების შენარჩუნება ხერხემლის მოუდრეკელობას ითხოვს. ჩემში ეს დამოკიდებულია ცხოვრების მომენტებზე და ვცდილობ კულტურული ფორმებით დავიცვა მორალური ფასეულებები, კონფლიქტების თავიდან აცილებით. ყველა ნორ–მალურ ადამიანს სჩვევია გაბრაზება, ყველაფერი შაქარივით როდია და არც ზომიერი მოთმინების მიღწევაა იოლი, მაგრამ როგორღაც უნდა მოვახერხო.

ლ. კ. ფიქრობთ თუ არა, რომ დროსა და სივრცეს მორგებული ხართ?

ლ. შ. ცხოვრება გიბიძგებს მოერგო დროსა და სივრცეს. ჩემდა გასაკვირად, მაშინ, როცა თითქმის ყველა რეპატრიანტი დაიბნა, როგორ შეგუებოდა ახალ გარემოს, მე შედარებით მარტივად მოვერგე. როცა მშობლები მყავდა მისახედი, ყველაფერმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. არის გარკვეული დამამუხრუჭებელი ფაქტორი, რასაც მექანიკურად ეგუები. დღევანდელობაზე კი ვიტყვი, რომ ყველა მონაცემებით, სავსებით შეთვისებული ვარ დროსთანა და სივრცესთან.

ლ. კ. რა იწვევს თქვენში პროტესტს, გულისტკივილს დათქვენი ფუნჯით თუ გამოგიხატავთ ეს?

ლ. შ. პირველ რიგში უსულგულობა, რაც უსამართლობის საბაბი ხდება. დღემდე მიკვირს ზოგიერთის ისეთი საქციელი, რასაც მე არ ჩავიდენდი და ამაზე მტკივა გული. ვცდილობ არ მივაქციო ყურადღება, მაგრამ ჩემი თავი დამიჭერია იმაში, რომ გაბრაზებულზე, ემოციები ჩემს ფუნჯსაც უგრძვნია და ფერებში გამომიხატავს.

ლ. კ. რაში ხედავთ ცხოვრების ხიბლს?

ლ. შ. საინტერესო შეკითხვაა. როდესაც ადამიანი ამქვეყნად მოდის, მან რაღაც უნდა დატოვოს თავის შემდეგ, მარტო შვილები არა მყავს მხედველობაში. ისევ ჩემს მშობლებს მივუბრუნდები: როცა ისინი ცოცხალი იყვნენ, ცხოვრებას სხვა ხიბლი ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთობა იყო, მთელი თავისი სიმძლავრით. მაშინ პატარა ბინაში ვცხოვრობდით და ყველა ოთახი ხალხით იყო სავსე თითქმის ყოველ დღე. ჩემი ძმები ოჯახებით, ახლობლები და ნათესავები უწყვეტი ნაკადით მოდიოდნენ. ჩემი შვილი ამ ხიბლს მოკლებულია იმის გამო, რომ ისრაელშიც კი არ ვცხოვრობთ ყველა ერთ ქალაქში, სადღა დარჩა, საზღვარგარეთ მცოვრები ნათესავები. ცხოვრების ყველა მონაკვეთს თავის ხიბლი გააჩნია და ამიტომ საერთო ფორმულა არ მომეძებნება. როცა ჩემი მაორი ჩაუვლის ჩემს ნახატს, შეხედავს, ჩაფიქრდება და ისევ შეხედავს, ამაშიც არის თავისებური ხიბლი. მე ვიტყოდი, იმაზე მეტიც კი, ვიდრე ათასობით ადამიანი ათვალიერებს მათ გამოფენაზე. ცხოვრებას ხიბლი, ნამდვილად არ აკლია, როცა გინდა იყვირო „შეჩერდი წამო“!

ლ. კ. ბატონი ლევან შემეში მართლა სტყვაძუნწობს. არაფერს ამბობს, რომ შესანიშნავი, მეტად სახასიათო პორტრეტებიცა აქვს შექმნილი. ჩემი ყურადღება მიიქცია დედის, ქალბატონი მარგალიტას პორტრეტმა. დავინახე მრავლისმთქმელი თვალები და ძლიერ მომინდა მისი თბილი ნაოჭების მოფერება.

გმადლობთ და დროებით გემშვიდობებით, ბატონო ლევან. მკლავმოუღლელად და წარმატებით გეღვაწოთ თქვენს მიერ არჩეული მშვენიერების სამყაროში, მე კი ველი მიწვევას თქვენს მომდევნო გამოფენაზე.

ლია კრიხელი
2021 წელი, მაისი.
ისრაელი.

მეცნიერ რეპატრიანტთა ხეივანი

16 ივნისს ნეგევში, რუხამას ტყეში ისრაელის ეროვნული ფონდისა და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის ინიციატივით, გაიხსნა რეპატრიანტ მეცნიერთა ხეივანი. ეს არის პირველი ცოცხალი ძეგლი იმ რეპატრიანტებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ისრაელის მეცნიერების განვითარებაში.

ხეივნის გახსნისას ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა თქვა:

— დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ რეპატრიანტ მეცნიერებს, ყოველმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისრაელის განვითარებაში, ვამაყობთ მათი მიღწევებით, მიზანსწრაფულობით და წარმატებებით. მიუხედავად რეპატრიაცასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული მრავალი სირთულისა, მათ მოახერხეს დიდი როლი ეთამაშათ ისრაელის მეცნიერების განვითარებაში. ეს ხეივანი გახლავთ ჩვენი მადლიერების გამოხატულება.

საზეიმო ცერემონიალის დროს, ნიშნად მისი, როგორც დიდი მეცენატის ღვაწლის აღიარებისა, ხეივანში გაიხსნა მიხეილ მირილაშვილის სახ. ალეია, რომელსაც მივყევართ სამუზეუმო კომპლექსთან ,,გზის გამკვალავნი.“ ამასთან ერთად, მიხ. მირილაშვილს გადაეცა საგანგებო სიგელი: მისი სახელი შეტანილია იმ ,,ოქროს წიგნში“, რომელშიც აღნუსხულია ისრაელის სახელმწიფოს ლიდერთა და დიდ მეცენატთა სახელები.

ისრაელის ეროვნული ფონდისა და სამხრეთ ისრაელის მოსახლეობის სახელით ისაუბრა ფონდის თავმჯდომარის მოადგილემ რონი ვინიკოვმა:

— მინდა მადლიერების სიტყვები წარმოვთქვა ჩვენი ხალხის ერთ-ერთი დიდი მეცენატის მიხეილ მირილაშვილის მიმართ, რომელსაც უზარმაზარი წვლილი შეაქვს ისრაელის სახელწიფოს, მისი მეცნიერების, კულტურის გაძლიერებაში. ამ ხეივანის გახსნა არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი ჩვენი ერთობლივი პროექტი: მისი მხარდაჭერით შევიძინეთ ბრონირებული ჟილეტები, ჩაფხუტები, იგება უშიშროების გზები და შენდება ყუმბარაგამძლე სარდაფები და სხვა.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის მიერ ჩატარებული ამ აქციით ისრაელის ტელევიზიაც კი დაინტერესდა და მაყურებელს გააცნო ეს ინფორმაცია.



კულტურათა ომი

არიე ელდადის მიმართვა

გამარჯობათ, მე გახლავართ იერუსალიმის საავადმყოფო ,,ჰადასა ეინ ქერემის““პროფესორი არიე ელდადი. რამდენიმე წლის წინათ ისრაელში მსგავსად ე.წ.“სისხლის ბანკისა,“ შევქმენი ადამიანის კანის ბანკი. დღეს ეს ,,ბანკი“ მსოფლიოშია ცნობილი და ყველაზე დიდია. მან დანიშნულება ჰპოვა როგორც ყოველდღიურ საექიმო პრაქტიკაში, ისე ომის პირობებში. განლაგებულია იერუსალიმის ,,ჰადასა ეინ ქერემის“ საავადმყოფოს პლასტიკური ქირურგიის განყოფილებაში.

ერთხელ მთხოვეს შემერჩია კანის ნიმუშები ერთი პალესტინელი ქალისათვის, რომელიც ღაზას სექტორში ცხოვრობდა და მკურნალობის კურსს ისრაელის საავადმყოფო ,,სორაკაში!“ გადიოდა. გავარკვიე, რომ თურმე ოჯახის წევრებს ეწადათ ეს ქალი ცოცხლად დაეწვათ — ეჭვი ჰქონდათ, მეუღლეს უღალატაო. მუსლიმურ ოჯახებში ასეთი შემაზრზენი რამ არცთუ იშვიათად ხდება. შევარჩიეთ და გადავგზავნეთ დონორთა კანის აუცილებელი უჯრედები. ამ პალესტინელ ქალს ჩემი მეგობარი და კოლეგა — პროფესორი ლიორ როზენბერგი მკურნალობდა. მკურნალობის წარმატებით დამთავრების შემდეგ ქალბატონი შინ — ღაზაში გაუშვეს, თუმცა, დროდადრო საავადმყოფოში უნდა მოსულიყო, რათა დაკვირვებოდნენ, თუ როგორ მიდიოდა შეხორცების პროცესი. საავადმყოფოში ერთ-ერთი სტუმრობისას, პაციენტი ქალბატონი დაცვამ გააჩერა — ქალს სხეულზე ჰქონდა თვითმკვლელის ქამარი, რათა საავადმყოფოში, რომელშიც სიცოცხლე შეუნარჩუნეს, თავი აეფეთქებინა. გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ ნათესავებმა აღუქვეს, თუ საავადმყოფოში თავს აიფეთქებ და რამდენიმე ისრაელელს დახოცავ, დანაშაულს შეგინდობთო.

ეს გახლავთ ერთი რიგითი მაგალითი იმისა, თუ რატომ — რა მიზეზით მიდის ომი ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის. ეს არ არის კონფლიქტი ტერიტორიის გამო, ეს კულტურათა ომია. უფრო სწორად ეს არის ომი ბარბაროსობასა და ცივილიზაციას შორის. ამ მიმართვის გავრცელება აუცილებლად მიმაჩნია: საჭიროა, სამყარომ ბოლოსდა ბოლოს გაიგოს, თუ რა არის, რადიკალური ისლამი და რა ელოდება სამყაროს, თუ მას დროულად არ შევაჩერებთ.

რამდენიმე წელიწადია საქართველოში მოღვაწეობს ისრაელელი — ორი ქვეყნის — ისრაელისა და საქართველოს შვილი — ჩინებული ოსტატი მეირ შავიტი. როგორც მეირ შავიტი ჩვენთან საუბარში იხსენებს, იგი საქართველოში ნეტარსახსენებელმა ბადრი პატარკაციშვილმა მოიწვია: „ჩამოდი, შენი ნახელავით საქართველოსაც ასიამოვნეო!“ მეირ შავიტის ხელოვნების ნიმუშებს დღეს საქართველოში სიამოვნებით ეცნობიან, ამ კეთილშობილ, თავისებურ ოსტატს, ბევრი დამფასებელი ჰყავს. იგი ქართულ — ებრაული ისტორიული ურთიერთობის დიდი მოტრფიალე და დამფასებელია. ეს თემა მის ნამუშევრებშიც კარგად ჩანს.

ჩვენც წარმატებას ვუსურვებთ მას!

ხვიჩა მესხია

დრამა - ისტორიის სარკე

გურამ ბათიაშვილის პიესები

თეა ქობულაძე

გურამ ბათიაშვილი, ჟანრობრივი თვალსაზრისით, მრავალმხრივი შემოქმედია. იგი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა როგორც პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი.

გურამ ბათიაშვილის შემოქმედება სათანადოდაა აღიარებული არა მარტო საქართველოში, არამედ ისრაელშიც.

გურამ ბათიაშვილის ყველა რომანი თუ საქართველოში ებრაელთა ყოფას ასახავს, დრამატურგიაში ასე არ არის. მხოლოდ ორი-სამი პიესა აქვს ებრაულ თემატიკაზე. ამიტომ თავდაპირველად ჩემი აზრით ყველაზე უფრო ემოციურ და ქართულ-ებრაული სიყვარულით გაკაშკაშებულ პიესა **„ვალს“** შევეხები – ყველაზე დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მას „ვალმა” (1978-79 წწ.) მოუტანა. „ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრებში „ვალის” მიხედვით შექმნილი სპექტაკლები გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული თეატრალური ხელოვნების წარმატების ღრმად შთამბეჭდავ ფაქტადაც იქცა“ (ა. ნიკოლეიშვილი). ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს ორი ერის სიახლოვეზე. ეს ის პიესაა, რომელიც გრძნობისმიერად და ხმამაღლა ლაპარაკობს „სიყვარულის რჯულზე“.

„როცა მზე ხმელთაშუა ზღვის ტალღებში ჩაესვენება, ეზოს ჭიშკართან მომდგარ ქართველ ებრაელს ახსენდება თავისი ბანძა და ონი, თავისი საჩხერე, ცხინვალი და გორი, თავისი თბილისი. ეს გახსენება სავსეა ნოსტალგიით დედობილის მიმართ. ამ ნოსტალგიას ეძღვნება გურამ ბათიაშვილის პიესა „ვალი“, – წერს 1980 წლის „ცისკრის“ მე-8 ნომერში აკაკი ბაქრაძე და აქვე სამართლიანად დასძენს, რომ ებრაელთა აზრმა კაცობრიობის კულტურულ საგანძურში ბევრი საუნჯე შეიტანა, მაგრამ ებრაელთა საქციელმა უკვდავი გაკვეთილი ჩაგვიტარა და თვალნათლივ დაგვიმტკიცა, რომ ეროვნული გრძნობა უკვდავია და არ არსებობს ძალა, რომელსაც მისი ამოძირკვა შეეძლოს.

ნაწარმოებში მართლაც მთელი სისავსით არის აღწერილი ამ უკვდავი გრძნობის სახელით სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ ებრაელთა განცდები. დედის წიაღში დაბრუნება და დედობილის არდავიწყება. ბედნიერებისა და უბედურების ერთდროულობით აფორიაქებული კაცის გულის ცემას ყურმიგდებული მკითხველი ცრემლიან პერსონაჟებს ბოლომდე შეიგრძნობს და სამშობლომონატრებული, ფესვებთან დაბრუნებული ქართველი ებრაელის განცდებს საკუთარივით გრძნობს. პიესა კიდევ ერთი დასტურია ჭეშმარიტებისა, რომ „ქართველ ერს მოყვარე იშვიათად ჰყოლია თვინიერ ებრაელი ერისა. ქართველებისა და ქართველ ებრაელთა თანაარსებობა გვერდიგვერდ, უბრალო სოციალურ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობა კი არაა, ეს გახლავთ მაგალითი ნაღდი მეგობრობისა“ (ლ. დვალიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში დაბრუნებით ოცდაექვსსაუკუნოვან ოცნებას ისრულებდნენ, საქართველოსთან გამოთხოვება მათთვის მაინც მეტად მტკივნეული იყო.

გურამ ბათიაშვილის პერსონაჟთა სიყვარულში ყალბი და გამოგონილი არაფერია. ნათქვამის სიმართლეს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრებულ ქართველ ებრაელთა დიდ ნაწილს საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობა დღემდე არ განელებია, მნიშვნელოვანწილად კვლავ „ქართული ცხოვრებით” ცხოვრობს და წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ ამ სიყვარულს არა მარტო სიტყვიერად გამოხატავს, არამედ საქმითაც ცდილობს მის დამტკიცებას. ჯვრის მონასტრისა და ისრაელში არსებული სხვა ქართული სიწმინდეების ბედით მათი რეალური დაინტერესებაც ამ სიყვარულის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა“, – სამართლიანად აღნიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ დათიკო მეგრელიშვილს („ვალის“ ერთ-ერთი პერსონაჟი) თავისი ისტორიული სამშობლო უწმინდესი სიყვარულით უყვარდა, იგი საქართველოდან ისრაელში ებრაელთა მასობრივად გადასახლების პროცესს მაინც პრინციპულად არ ეთანხმებოდა და ყველანაირად ცდილობდა, ამ მოვლენას წინ აღსდგომოდა, მაგრამ მისმა მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და დათიკოც იძულებული გახდა, ისტორიული სამშობლოსკენ მიმავალ გზას გასდგომოდა.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნამ ქართველ ებრაელთა ცნობიერებაში ტრაგიკული სიმწვავით გამოკვეთა მათი თაობის სულიერ ტრაგედიად ქცეული გაორების ის გრძნობა, რომელსაც დათიკო შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „ჩვენზე უბედური ხალხი ღმერთს არ გაუჩენია ამ ცისქვეშეთში... იქ ვიყავით და მამა-პაპის საფლავები გვეძახდნენ. აქ ვართ და იქაურობა არ გვაძლევს მოსვენებას. რა ბედის ხალხი ვყოფილვართ, ბიჭო, რა ბედის! ამაზე დიდი უბედურება გაგიგია სადმე? მითხარი, გაგიგია? შუაზე ვართ გახლეჩილები... ორი დედის შვილებივით ვართ, ბიჭო, და, შეიძლება, კაცს ორი დედა ჰყავდეს?”

დათიკოს ამ სიტყვებში ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ვლინდება ნაწარმოების პერსონაჟთა ტკივილი.

მადლიერების გრძნობამ შთააგონა ქართველ ებრაელებს იერუსალიმში არსებული ჯვრის ქართული მონასტრის ბერძნებისაგან გამოსყიდვა და მისი სახით მათ ისტორიულ სამშობლოში პატარა საქართველოს სიმბოლოს შექმნა. ქართველი ებრაელების ამ კეთილშობილურ მისწრაფებას კიდევ უფრო მეტად განამტკიცებდა ის ფაქტი, რომ, ისტორიული ტრადიციით, ქართველი ხალხის ყველაზე დიდი შვილი – შოთა რუსთველი სწორედ ჯვრის მონასტერში უნდა იყოს დასაფლავებული.

გურამ ბათიაშვილის პიესამ ფართო საზოგადოების იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია, რომ იგი წარმატებით დაიდგა რამდენიმე თეატრის სცენაზე. მათგან ყველაზე მეტად, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, გიორგი ქავთარაძის რეჟისორობით ქუთაისის თეატრში დადგმული სპექტაკლი გამოირჩეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლს ოპონენტებიც გამოუჩნდნენ და პიესაში მოთხრობილი ამბავი საფუძველს მოკლებულ ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიეს. პოლემიკა გამოიწვია პიესის სათაურმაც.

პიესა „შეთქმულება“ (1979-89 წწ.) XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობითაა შთაგონებული. მასში 1832 წლის შეთქმულების ამბავია მოთხრობილი, თუმცა შინაგან მუხტს ნაწარმოებს მაინც ის მოვლენები სძენს, რომლებიც საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს განვითარდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ქართველ მამულიშვილთა თავდადებასა და მისწრაფებებს გამოეხმაურა. საკმარისია გავიხსენოთ მუხრან მაჭავარიანის პოეტური ციკლი, რომელიც მან 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პარტრიოტული გრძნობების წარმოჩენას მიუძღვნა. გურამ ბათიაშვილის პიესა „შეთქმულებაც“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, რომელიც თაობათა განსჯის საგანია დღემდე, გურამ ბათიაშვილმა კიდევ ერთხელ გამოიტანა სამსჯავროზე. პიესა, რა თქმა უნდა, ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლ მამულიშვილთა მისწრაფებებს გამოხატავს, თუმცა ავტორი არც იმ ქართველთა აზრებს ტოვებს უყურადღებოდ, რომლებსაც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა მიაჩნიათ. ამ თვალსაზრისს პიესაში თბილისის გუბერნატორი და ჯამბაკურ ორბელიანი ემხრობიან. ისინი ფიქრობენ, რუსეთის ჯარის წასვლით საქართველო დაემხობა და მას თურქეთი და სპარსეთი დაემუქრება. სწორედ ეს თვალთახედვა უდევს საფუძვლად ჯამბაკურ ორბელიანის სიტყვებს: „რუსთ უერთგულეთ, შვილებო, რუსთ, თორემ... ქვეყანას წაახდენთ, საქართველოს მზეს დაუბნელებთ...“. ნათელია, რომ ამ სიტყვებს ჯამბაკურ ორბელიანს სამშობლოსადმი სიყვარული ათქმევინებს, თუმცა შეთქმულების ორგანიზატორები მას ქვეყნის გამყიდველად და რუსეთის მონად მიიჩნევენ. ჯამბაკურის სიტყვებით გაავებული ელიზბარ ერისთავი მოხუც გენერალს ასე მიმართავს: „მონა!.. აი, მონა!. . აი, ნიშანი მონობისა!! ნიკოლოზმა იცის, როგორ დაიმონოს ჩვენი სულები!“.

ნაწარმოებში არც ისე ცოტაა რუსოფილი პერსონაჟები. მათი თვალთახედვაც განსჯის საგნად უქცევია ავტორს, თუმცა პიესის მთავარი იდეა, უპირველესად, შეთქმულთა, თავდადებულ მამულიშვილთა მისწრაფებებისა და ოცნებების წარმოჩენაა, რაზეც პიესის სათაურიც მეტყველებს.

გურამ ბათიაშვილის შემოქმედებაში მძაფრად აისახა საქართველოს ეკონომიკური სიდუხჭირე. ის გაუსაძლისი ყოფა, რომელშიც 21-ე საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდნენ ქართველი ქალები. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია პიესა **„თავდავიწყებით თამაში უცხოთა ლოგინებში“.** ნაწარმოებში შთამბეჭდავადაა დახატული ქართველ ქალთა სახეები, რომელებიც ოჯახებისა და საკუთარი თავის გადასარჩენად თურქეთში გადახვეწილან და საკუთარი სხეულით ვაჭრობენ. დრამატურგი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო იმჟამინდელი საქართველოს ეკონომიკურ კრიზისზე, რამაც უმშვენიერესი „გურჯის ხათუნები“ მეძავებად აქცია, არამედ გვიჩვენებს მათ სულში ხელუხლებლად დარჩენილ სიწმინდეს. აღწერს, როგორ ინარჩუნებენ ისინი ადამიანურ ღირსებასა და კეთილშობილებას.

ერთ-ერთი საინტერესო და ტრაგიკული პერსონაჟია მაია. ის მსახიობობაზე მეოცნებე ნიჭიერი გოგონაა. ჯერ კიდევ ყმაწვილი მომაკვდავი დედის ერთადერთი ჭირისუფალია. ის პატრონობს ყაჩაღების მიერ მოკლული ძმის ოჯახსაც.

საინტერესო პიესაში სიუჟეტის გაშლის თავისებური ხერხები, რომელსაც დრამატურგი იყენებს ამბის ეფექტურად გადმოსაცემად. ნაწარმოებში მოვლენები მიზანმიმართულად თეატრალიზებულია თავად პერსონაჟების მიერ. ეს კი ამძაფრებს, ექსპრესიულობას სძენს ამბავს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

როცა გურამ ბათიაშვილის დრამატურგიაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პიროვნული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პიესები, რომლებშიც მთელი სისავსით წარმოჩინდა ზოგადადამიანური ნაკლოვანებები, სასიყვარულო თავგადასავალს თანდართული წინააღმდეგობანი – მიუღებლობა, დაბირისპირება, დამცირება, ეგოიზმი.

პიესა **„მოგზაურთა დასი“** 1987 წელს დაიწერა და მასში საოცარი ოსტატობითაა აღწერილი ადამიანურ ურთიერთობებზე აღმოცენებული „მარადიული ფილოსოფია“ – „ცალ-ცალკე მდგომნი ერთად კვდებიან და ასე სიკვდილით აცოცხლებენ ქვეყანას“.

ისტორიული სინამდვილე და რეალურად მომხდარი ამბავი დიდი შემოქმედებითი ოსტატობითაა აღწერილი პიესაში **„მოქმედი პირნი და შემსრულებელნი“**, რომელიც 70-იან წლებში დაიწერა და რომელშიც მთელი სიცხადით გაცოცხლდა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართულ თეატრალურ სამყაროში მომხდარი დიდი დაპირისპირება. როგორც ცნობილია, რუსთაველის თეატრში იმხანად თავჩენილი ქაოსი საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ მარჯანიშვილი და მისი თანამოაზრეები ამ თეატრიდან წავიდნენ, ქუთაისში დამკვიდრდნენ და ახალი თეატრი დაარსეს. ეს ფაქტი კი ქართული თეატრალური ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენად აქციეს, რადგან ქუთაისში თვისობრივად სრულიად ახალ დრამატულ ხედვებს დაუდეს სათავე.

როგორც აღვნიშნეთ, პიესაში „კომუნისტური უსამართლობის“ კრიტიკის ფონზეა აღწერილი სანდრო ახმეტელის, „მენშევიკების თანამებრძოლისა“ და კოტე მარჯანიშვილის, „ბურჟუაზიული ესთეტიკის მიმდევრის“, თეატრიდან გაძევება და ამ უკანასკნელის ტრაგიკული აღსასრული. გურამ ბათიაშვილისგან ისტორიულ მოვლენათა ამგვარი ფორმით გაცოცხლებამ თავისთავად გამოიწვია პიესაში რეალურად არსებული პიროვნებების პერსონაჟებად შემოყვანა, რამაც ამ ნაწარმოებისადმი მკითხველის ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა.

პიესა **„დასაბამი“** 2001 წელს დაიწერა და მასში „პირველქმნილი და პირველთქმული“ ინტერესითა და მაღალმხატვრული ოსტატობითაა აღწერილი, როგორ თან სდევს დასაბამიდან იუდეოქრისტიანობა ქრისტიანობას. დრამატურგი მოძალებული ემოციით აღწერს, როგორ მისცეს დასაბამი ქრისტიანობას ქრისტეს მორწმუნე ებრაელებმა, პირველმა ქრისტიანებმა. პიესაში მოთხრობილი ამბით გურამ ბათიაშვილი შთამბეჭდავად აცოცხლებს პირველი საუკუნის მოვლენებს და აღწერს თუ როგორი ემოციით ხვდებიან ადამიანები „ახალ ჭეშმარიტებას“ და იჯერებენ, რომ „მეორედ შობის ანუ ცოდვათაგან განწმენდის გარეშე სასუფევლის დამკვიდრება, ანუ სულის ცხონება შეუძლებელია“.

„სამეფოს გარდაცვალება“ ორმოქმედებიანი დრამატული ნაწარმოებია, ისტორიული ჟანრის პიესაა. გურამ ბათიაშვილი დოკუმენტური სიზუსტით აღწერს მე-18 საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფოზე თავს დამტყდარ უბედურებას: აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგებს, რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შელახვასა და მეფობის გაუქმებას, ბატონიშვილებისა და სხვა დიდებულთა ორგულობასა და თავაშვებულობას.

მოქმედება იწყება იმ საშინელი მდგომარეობის გახსენებით, რომელშიც აღმოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფო აღა-მაჰმად-ხანის შემოჭრის შემდეგ. იკვეთება, რომ სასახლის კარზე ერთი ადამიანიც არ არის ისეთი, ვინც მეფის გვირგვინს (ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს) უპატრონებს და გადაარჩენს. საშინელებაა, როდესაც მეფე გიორგი „ვიღაცის გამოჩორკნილ ტახტზე, უგვირგვინოდ ზის. ამ სცენით ბათიაშვილი მიგვანიშნებს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, გაპარტახებული და მიწასთან გასწორებულია როგორც ზნეობრივად, ასევე ეკონომიკურად. ამ უბედურებას კიდევ ერთი მიზეზი აქვს – ქართველ მემამულეთა სიბეცე და ურჩობა, რომელთაც „თავის ეზო-კარის იქით აღარაფერი ახსოვთ“. ასეთ მდგომარეობაში უნიათო მეფე გიორგის ისღა დარჩენია, თხოვნა-მუდარით მიმართოს რუსეთის იმპერატორს დახმარებისთვის. მეფე გიორგის კიდევ ერთი საზრუნავი აქვს: უფროსი შვილის, დავითის გამეფება, რომელიც გარშემორტყმულია ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინის ტარების მსურველთა ჯარით, ერეკლეს მრავალრიცხოვანი შვილებით. ამ სიას დარეჯან დედოფალიც ემატება თავისი ზრახვებით. გიორგი თანახმაა, რომ საქართველო „გახდეს ქვეშევრდომი, ნაწილი რუსეთისა“. სამაგიეროდ, იმპერატორისაგან ითხოვს: „სიგელით დამიმტკიცეთ მეფობა და ჩემს მემკვიდრედ სიგელითვე დაამკიცეთ ჩემი ძე დავითი“, თუმცა, როგორც აღმოჩნდება, რუსეთის იმპერატორს სულ სხვა ზრახვები აქვს – საქართველოში მეფობის გაუქმება და მისი გუბერნიად გადაქცევა.

სამწუხაროდ, საქართველოს სვე-ბედი გადაწყვეტილია. დავით ბატონიშვილის უსუსურ პროტესტს გამოთქვამს: „არწივები ტყვეობაში ვერ ძლებენ!“; საზარელი მოსასმენია ლაზარევის სიმართლე: „არწივები ტყვეობაში არ ექცევიან, თავადო!“

„მობრუნებული ქართველები“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ფაქტსა და საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის ანექსიას ეხმიანება. დრამატურგი ცდილობს, ილიას მკვლელობის რამდენიმე ვერსიიდან მოძებნოს უფრო სარწმუნო. დაგვაფიქროს იმ მიზეზებზე, რომლებმაც იმდროინდელი ქართული საზოგადოება გადაგვარებამდე მიიყვანა. იშველიებს ერთ-ერთი „ივერიელის“ სიტყვებს: „1921 წლის 25 თებერვალი ერთბაშად არ დამდგარა, ამ დღის ტრაგედია სწორედ 1907 წლის 30 აგვისტოს დაიწყო“. სიმბოლურად სწორედ წიწამურის მიდამოებთან იწყება მოქმედების განვითარება, სადაც აღწერილია, როგორ ემზადებიან ილიას მკვლელები.

პიესაში ნაჩვენებია თუ როგორ მარჯვედ გამოიყენა რუსულმა მმართველობამ ჟორდანიას და ფილიპე მახარაძის ილიასადმი დაუძლეველი სიძულვილი და როგორ შორიდან უყურა ილიას მკვლელობის გეგმის შემუშავებას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ისტორიული წარსულის მხატვრული ასახვისას დრამატურგი ერთნაირი ინტერესითა და დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით ეკიდება როგორც ფაქტების სიზუსტეს, ასევე, დიდ ეროვნულ საფუძველზე მათ გააზრებას, სწორედ ამით არის საინტერესო და საგულისხმო გურამ ბათიაშვილის ისტორიული პიესები.

სამედიცინო სფეროს მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

დოდო ჩიკვაშვილი

(დასაწყისი იხ. „მ“ №3,4,5,6)

ლელა მიგიროვი Lela Migirov - წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი ქალაქ ნალჩიკში. პროფესორი მიგიროვი სტაჟირებას მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან საავადმყოფოში გადიოდა ყურის ოპერაციების დახელოვნებაში, მათ შორის კლინიკა Los Angeles, Inselspital ბერნში, შვეიცარია, Portman Institut Bordeaux და Fondation Adolf de Rothschild პარიზში და უნივერსიტეტის საავადმყოფო ოდენა, იტალია. მან შეიმუშავა Otorhinolaryngology -ის სფეროში საოპერაციო ჩარევის მეთოდიკა და მსახურობს ტელ- აშომერის საავადმყოფოში ყელ-ყურ-ცხვირის და თავის ქირურგიულ განყოფილებაში. პროფესორი მიგიროვი მიწვეულია ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორად. წევრია IWGEES (საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის ენდოსკოპიური ყურის ქირურგია). მას იწვევენ ენდოსკოპიური ქირურგიის ოპერაციების მასტერ კლასზე მრავალ ქვეყანაში. კვლევითი საქმიანობით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დიაგნოსტიკას, პარტნიორია განვითარებადი ინოვაციური მეთოდების იმპლანტაციის განხრით. მეთოდი წარმოდგენილია კონფერენციების და სემინარების მსვლელობაში ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, პოპულარული გახდა ათობით ცენტრში გადანერგვის cochlear implant ევროპაში, არგენტინა, ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სტატია. კოორდინირებას უწევს პროფესიის უწყვეტი განათლების პროგრამების -ში.

ზაზა იაკობიშილი Zaza Iakobishvili - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1987). სადისერტაციო მასალა თბილისის სახელმწიფო ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის კვლევით ბაზაზე დაამუშავა 1992-1995წწ.) თემაზე: „trial Natriuretic Peptide Binding to Slow Calcium Channels in Plasma of Patients with Congestive Heart Failure“. 1996 წელს ისრაელში ამოსვლისთანავე დაასრულა რეზიდენტურა შინაგან მედიცინაში; შემდგომ კარდიოლოგიურ დეპარტამენტში, რაბინის სამედიცინო ცენტრში წარმატებით გაიარა საბჭოს სასერტიფიკაციო გამოცდები კარდიოლოგიაში (2001 წ). მუშაობდა გულის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში(2002 – 2009), იგი დაინიშნა გადაუდებელი კარდიოლოგიური სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ზაზა იაკობიშვილი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში თელ-ავივის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე, არაერთხელ დასახელდა “საუკეთესო ტიუტორ“ად. სამეცნიერო კვლევა: ავტორი და თანაავტორი 140-ზე მეტი პუბლიკაციის, რომელიც გამოქვეყნდა რეცენზირებად ჟურნალებში: Am Heart J, Am J Cardiol, Int J Cardiol., სახელმძღვანელო წიგნებში თავების თანაავტორი კარდიოგენური შოკის დიაგნოსტიკის, ეპიდემიოლოგიის და რისკის ფაქტორების საკითხებში ევროპის (2010) და ამერიკის (2011) კარდიოლოგთა საზოგადოებათა პუბლიკაციებში, რომელიც სამედიცინო კლინიკებში ისწავლება და ინერგება. სამეცნიერო კვლევის ინტერეს მოიცავს: კარდიოგენული შოკი, მწვავე კორონარული სინდრომი და გულის უკმარისობა, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა, გულის ბიომარკერები, კარდიო- ონკოლოგია. ხელმძღვანელობს სტუდენტთა და ექიმთა საკვალიფიკაციო კვლევას. მასალებს წარმოადგენს საერთაშორისო სამედიცინო შეხვედრებზე ESC 2007, აქტიურად მონაწილეობს ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების ასოციაციის სამუშაო ჯგუფის ხარისხის ამაღლებაში. თავის კოლეგებთან ერთად აპირებს შექმნას ისრაელის ფილიალი კარდიონკოლოგიაში, საერთაშორისო CardioOncology საზოგადოებასთან ერთად (ICOs).

ნიკო მანაშეროვი Nikolai Menasherov - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1986 წ.) კურსდამთავრებული. კლინიკური რეზიდენტურა თბილისის 4 საავადმყოფოში გაიარა ზოგად ქირურგიაში. 1993წ. წარადგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი ”ნაწლავის გამორეცხვა მაგნეტიტის სუსპენზიით ნაწლავის მწვავე ობსტრუქციის მკურნალობაში (ექსპერიმენტული კვლევა)” და PhD ხარისხი მიენიჭა. 1995 წ. ისრაელში მიიღო ქირურგი- ოპერატორის ლიცენზია და რეზიდენტურა Rabin Medical Center, Beilinson გააგრძელა. 2003- 04 წწ. Upper GI Surgery at Adelaide University Department of Surgery, Adelaide, Australia განაგრძობს კვალიფიკაციის ამაღლებას. 1998-2014 წწ. ისრაელის დაცვის სამხედრო სამსახურში ქირურგად მუშაობდა. 2014 წლიდან საყლაპავის, კუჭ-ნაწლავის ქირურგიის სამსახურის უფროსია ქირურგიის განყოფილებაში, რაბინის სამედიცინო ცენტრში, ბეილინსონის საავადმყოფოში. 2017 წლიდან ბეილინსონის საავადმყოფოს რაბინის სამედიცინო ცენტრის ქირურგიის განყოფილების უფროსის მოადგილე. მაღალკვალიფიციური დოქტორი მანაშეროვი არის ზოგადი ქირურგიის სპეციალისტი და მისი ინტერესების სფერო მოიცავს - კუჭ-ნაწლავის სისტემის პრობლემები, საყლაპავის და კუჭის სიმსივნე, მსხვილი ნაწლავის, წვრილი ნაწლავის თიაქარი, ნაღვლის სადინარის, ჰემოროის და ანალური ნაპრალების მკურნალობა, მათ შორის ინვაზიური ტექნიკის გამოყენებით. თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ინსტრუქტორია, არა ერთხელ დასახელებულია წარჩინებულად.

ზაზა აივაზი Zaza Aivazi (აივაზაშვილი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული კარდიოლოგი, რომელსაც 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. სპეციალიზირებულია გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის დაავადებათა და ბირთვულ კარდიოლოგიაში, რომელიც იყენებს არაინვაზიურ ტექნიკას გულის სისხლის ნაკადის და სატუმბი მოქმედების შესაფასებლად, გულის შეტევის ზომისა და ადგილმდებარეობის ვიზუალიზაციის ჩათვლით. თანამდებობა: კლინიკური ინსტრუქტორი სპეციალობით კარდიოლოგია The Mount Sinai Hospital, ნიუ იორკი.

აბრამ (ამირან) ჩაჩაშვილი Avraham Chachashvili - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1993 წ.). სტაჟირება და სპეციალიზაცია უროლოგიაში გაიარა Asaf--Rofe სამედიცინო ცენტრში. 2007 წ. ქვე-სპეციალიზაცია - ერექციის დისფუნქცია, ამ სფეროში ხელმძღვანელობს სამკურნალო ცენტრს Asaf--Rofe საავადმყოფოში. ამბულატორიული საოპერაციო ოთახის დირექტორი და უროლოგიის განყოფილების უფროსი ექიმია ამავე ცენტრში. უროლოგ კონსულტანტად მუშაობს Shmuel Harofeh კლინიკაში. ანარმოებს ოპერაციებს პენისის სკოლიოზის კორექცია, პროსტატა და სათესლე ჯირკვლების დაავადებანი, თირკმელების და საშარდე ბუშტის დისფუნქციის აღსადგენად. კერძო პრაქტიკას აწარმოებს უროლოგიის სფეროში.

ნუგზარ რიჯინი Nugzar Rijini (რიჟინაშვილი) - სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა (1992 წ.). ამოდის ისრაელში პირველივე ცდით აბარებს გამოცდას. სტაჟირება გაიარა Wolfson საავადმყოფოში. 1999 წლიდან - Wolfson ანესთეზიოლოგიის განყოფილების თანამშრომელია, 2006 წლიდან ამავე დეპარტამენტში უფროსი ექიმი, 2016 წ. - განყოფილების გამგის მოადგილე და 2018 წლიდან - ანესტეზიოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს. კლინიკური პრაქტიკის ინტერესი: ბავშვთა და მოზარდთა კარდიოქირურგიული; ნაადრევად დაბადებული თოთო ბავშვების; ზოგად ქირურგიული; სისხლძარღვთა ქირურგიის; ორთოპედიული ქირურგიის, მათ შორის ხერხემლის ოპერაციის ანესტეზია; კომპლექსური პაციენტების მკურნალობა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, მათი მოვლა და აღდგენა. დიდ ყურადღებას უფმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სტომატოლოგიურ მკურნალობას, გულის ოპერაციები ბავშვებში და ბავშვთა გულის კათეტერიზაციას. ამ საპატიო მისიის შესასრულებლად მოხალისეთ მიეგმზავრება ტანზანია, ეთიოპია და რუმინეთში: მგზავრობს დელეგაციაში განვითარებად ქვეყნებში. გამოცდილი ანესტეზიოლოგი მიწვეულია თელ- ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ტრენინგების და კურსების ჩასატარებლად, მათ შორის ACLS კურსის ინსტრუქტორია. ჩართულია საგამოცდო საბჭოში ანესთეზიოლოგიის სპეციალიზაციით. ისრაელის ანესთეზიოლოგთა საზოგადოების წევრია.

იოსებ დანიელი Joseph Danieli (დანიელაშვილი) – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული (წარჩინებით) (1988-1993) ... ისრაელში .. - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემის ადმინისტრირება, ბარ ილანის უნივერსიტეტში (2011-2013). დოქტორ დანიელმა დაასრულა რეზიდენტურა პედიატრიაში საფრას სახ.ბავშვთა საავადმყოფოში, სპეციალობით ბავშვთა კარდიოლოგიაში. 2001 წ. თელ- აშომერის საავადმყოფოს - ბავშვთა და 2005 წლიდან ბავშვთა კარდიოლოგიაში მსახურობს. არა ერთი საკვალიფიკაციო სტაჟირება გაიარა საუკეთესო კლინიკებში, მათ შორის რეზიდენტურა კათეტერიზაციის ლაბორატორიაში, Hospital of Sick kids, Toronto, კანადა; სპეციალობით ინტერვენციული კარდიოლოგია Marie Lannelongue Center, საფრანგეთი.

(2008-2017 წ.) ნაყოფის ექოკარდიოგრაფიის, ინტერვენციული კარდიოლოგიის, გულის თანდაყოლილი დაავადებათა ცენტრის დირექტორი. შემდგომში ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობა, ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურება სხვადასხვა ფონდში უფროსი კარდიოლოგის სტატუსით. 2018 წ. დაინიშნა მაკაბის სამედიცინო მომსახურების დირექტორად. აქვს სრული დატვირთვა აკადემიური სამედიცინო განათლების სფეროში. სტუდენტების სამაგისტრო პროგრამის კომიტეტის წევრი, ასწავლის ასპირანტურაში პროგრამებს პედიატრიაში, საერთაშორისო სამედიცინო პერსონალის დახელოვნების (ექთნები, ექო ტექნიკოსები, სამედიცინო სტუდენტები და ექიმები) პროგრამებში არის ჩართული. ისრაელის და მრავალ საერთასორისო პროფესიონალურ სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი გახლავთ.

ხავა როზენ Hava Rozen (ხათუნა რიჟინაშვილი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1988-1994) კურსდამთავრებული. შიბას სამედიცინო ცენტრში, ნეონათოლოგიის განყოფილების ექიმი, ედმონდ და ლილი საფრას სახ. ბავშთა საავადმყოფოში მუშაობდა. აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში თელ-ავივის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. სადოქტორო ხარისხი ვაიცმანის სახ. ინსტიტუტში, იმუნოლოგიის დეპარტამენტში დაიცვა. პოსტდოქტორანტული კვლევა განაგძო Department of Stem Cell Transplantation and Cell Therapy, MD Anderson Cancer Center, Houston, TX, USA. ავტორია მრავალი სამეცნიერ კვლევათა შედეგების პუბლიკაციების. დავით კაკიაშვილი ავიდ აკიასჰვილი - საქართველოში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. დოქტორმა კაკიაშვილმა დაასრულა უროლოგიაში ტრენინგი 2006 წელს რამბამის საავადმყოფოში, ისრაელი. კვლევას აგრძელებს Houston, Texas სამედიცინო კოლეჯში; შემდგომ უროლოგიური ონკოლოგია და ინვაზიური ქირურგიის განხრით ტორონტოს უნივერსიტეტში, კანადა. გარდა ამისა, იგი არის საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი რობოტიკაში. ამ სფეროში ექსპერტი გახლავს, რაც მოიცავს რობოტიკულ ოპერაციებს პროსტატის ჯირკვალზე, თირკმლის სიმსივნეების ამოკვეთას, კომპლექსურ რეკონსტრუქციულ ქირურგიას შარდის ბუშტის კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში, რეტროპერიტონეალურ ოპერაციებს სათესლის კიბოს მეტასტაზური ფორმის დროს და თირკმელზედა სიმსივნეებით დაავადებულ პაციენტებში. კვლევასა და აკადემიურ საქმიანობას განაგძობს ონკო-უროლოგიაში და ახალი ქირურგიული ტექნოლოგიების დანერგვაში მენტორია. 2018 წ. დანიშნულია hilel iafes საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგედ.

იონა ქოსაშვილი Yona Kosashvili - კლინიკური ასოცირებული პროფესორი ორთოპედიულ ქირურგიაში (2014 წ.) თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სპეციალიზირდება ორთოპედიულ ქირურგიაში Assaf Harofeh სამედიცინო ცენტრში. სამი წლის განმავლობაში კანადაში Toronto, Mount Sinai Hospital-ში და Sunnybrook Health Science Centre აგრძელებს სწავლას და ეუფლება სახსრების ენდოპროტეზირებას. 2006 წ. ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ჯანდაცვის მართვის სისტემების ხარისხი ... ორთოპედიული ქირურგიის პროფესორი თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ეწევა მრავალრიცხოვან კვლევებს და ლექტორი გახლავთ ისრაელში და მის ფარგლებს გარეთ. გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია ორთოპედიის სფეროში. American Association of Orthopedic Surgeons წევრია. პროფესორი იონა ქოსაშვილი ხელმძღვანელობს ორთოპედიულ დეპარტამენტს Kaplan Medical Center, ატარებს ოპერაციებს კერძო საავადმყოფოებში Assuta და Herzliya Medical Center. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არ უთამაშია პროფესიული ჭადრაკი, 1995 წელს მოიპოვა 34 ადგილი მსოფლიოში. მან ორჯერ მოიპოვა პირველი ადგილი ჩემპიონატში ისრაელში და წარმოდგენილია მონანილედ ეროვნულ ნაკრებში საჭადრაკო ოლიმპიადებში.

შავთაი საპირი Shabtai Sapir (სეფიაშვილი) - ბოსტონის უნივერსიტეტის კლინიკური ასისტენტ-პროფესორი პედიატრიულ სტომატოლოგიაში, ბრძანდება Hebrew University- Hadassah Faculty of Dental Medicine კურსდამთავრებული (1992 წ.). 1995 წელს ისრაელში ლიცენზირებული სტომატოლოგი, 2001 წ. პოსტ-სწავლებას აგრძელებს და ენიჭება აკადემიური ხარისხი - სტომატოლოგიის დოქტორი. მოღვაწეობს სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, როგორც პრე-დოქტორანტური, პედიატრიული და ორთოდონტიული პროგრამების კლინიკური ინსტრუქტორი. ამ პერიოდში მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული, რომელიც ეძღვნება რესპირატორული საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებას და მკურნალობას პედიატრიულ სტომატოლოგიურ კლინიკებში, გადაუდებელი და საგანგებო ალტერნატიულ რეკომენდაციებს ფრენის დროს, კერძო შემთხვევები და ლიტერატურის მიმოხილვა, მენინგოკოკური სეპტიცემია და სტომატოლოგიური გართულებები. აღსანიშნავია (2002-2006 წწ.) მონაწილეობა JOINT ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს და პედიატრიული სტომატოლოგიის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ვოლუნტარულ პროექტში ეთიოპელი ბავშვების სამკურნალოდ. ხშირად გახლავთ დაჯილდოებული, როგორც გამორჩეული რეზიდენტი, საუკეთესო ტიუტორი, წარჩინებული ლექტორი. 2007-2012 წწ. ისრაელის სტომატოლოგიური საბჭოს ექსპერტი, 2015 წ. Rutgers School of Dental Medicine, Newark, NJ internacionalur პროგრამაშია ჩართული. 2020 წ. ბოსტონის უნივერსიტეტის ბავშთა სტომატოლოგიური კათედრის წლის მასწავლებლად არის არჩეული; აღგდგენითი სტომატოლოგიის სფეროში ბრწყინვალების ჯილდო მიენიჭა. პროფესორი შავთაი საპირი გახლავთ პროფესიონალური ასოციაციების: American Dental Association, American Academy of Pediatric Dentistry, Massachusetts Dental Association აქტიური წევრი.

(გაგრძელება იქნება)

ორი ანტისემიტი

ნოველა

შალომ ალეიხემი

მაქს ბერლანტი წელიწადში რამდენჯერმე ლოძიდან მოსკოვს და მოსკოვიდან ლოძში ბრუნდება. ხუთი თითივითიცნობს ყველა სადგურის მებუფეტეს. კონდუქტორები ძმაკაცურად ხვდებიან ყოფილა შორეულ გუბერნიებშიც, სადაც ებრაელებს 25 საათზე მეტხანს გაჩერება სასტიკადა აქვთ აკრძალული. პოლიციის ყველა უბანში უღვრია ოფლი. ბევრჯერ აუტანია დაცინვა და აბუჩად აგდება გზაში, არაერთხელ დაღონებულა, მოშხამვია ხასიათი და ყოველივე ეს რისთვის? -იმის გამო, რომ ებრაელია. თუმცა, არც თუ მხოლოდდ იმიტომ, რომ ებრაელობა საერთოდ არსებობს, არამედ იმის გამო, რომ თვითონ, უკაცრავად პასუხია-თვითონაა ებრაელი, თუმცა, არა იმდენად იმიტომ, რომ ებრაელია, არამედ უფრო იმის გამო„ რომ თვითონ, უკაცრავად პასუხია -თვითონაა ებრაელი, თუმცა, არა იმდენად იმიტომ რომ ებრაელია, არამედ უფრო იმის გამო, რომ მაპატიეთ და.... ძალიანა ჰგავს ებრაელს. ნახშირივით შავი თვალები უბრწყინავს. მართლაც ნამდვილი სემიტური თმა აქვს. აქცენტი კი-ჰოი, აქცენტი.... ნამდვილი ებრაული გამოთქმა აქვს ხორხისმიერი „რ“ და ამასთან ყველაფრის დამამშვენებელი ცხვირი... ცხვირი და რა ცხვირი!..

თითქოს ჯიბრზე დააჯილდოვა ღმერთმა ასეთი პროფესიით (კომივოიაჟორი გახლავთ) . ამის გამო იძულებულია იმოგზაუროს ქვეყნად თავის ძვირფასი ცხვირითურთ. აუცილებლად ბევრი უნდა ილაპარაკოს, რომ კიდეც უყურონ და კიდევაც უსმინონ... მოკლედ, ცოდვაა კაცი! ისე კი, ჩვენს გმირს პირი სუფთადა აქვს გაპარსული, პატარძალივით მორთულ-მოკაზმული დაბრძანდება. ულვაში აუპრეხია, ნეკზე ფრჩხილიც კი წამოიზარდა და ისეთი ყელსახვევი უბნევია, ჩვენს წინაპრებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ. მიეჩვია ნაირ-ნაირ ნუგბარს. მაქსმა მთელი თავისი გულისწუხილი ღორის ხორცზე გადაანთხია. რაღა ბევრი მოგახსენოთ, სასიკვდილო რისკი გასწია და კიბოების ჭამაც კი დაიწყო. რატომ ვამბობ სასიკვდილო რისკი გასწია მეთქი? თქვენმა მტერმა გაუგოს სადა აქვთ ცხვირი, ან საიდან უნდა დაიწყოს ამ ოხერი კიბოს ჭამა-როგორც მაქს ბერლანტმა იცოდა. რას გაუგებ-დანით, ჭრიან, ჩანგალზე აგებენ თუ მთლიანად ყლაპავენ? და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად მაქს ბერლანტის ძალას აღემატებოდა დაემალა თავისი ებრაული წარმოშობა, თავისიანებისა თუ უცხოთათვის. მას, როგორც წყეულ კაინს, ყველა მოხარშულს იცნობდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე აგრძნობინებდნენ, რას წარმმოადგენს იგი. მოკლედ, ცოდვაა კაცი.

თუ კიშინიოვამდე უბედური იყო მაქს ბერლანტი, კიშინიოვს იქით მთლად წყალწაღებული ხდებოდა. მას ისე ერცხვინებოდა კიშინიოვისა, თითქოს კიშინიოვი მისი საკუთრება ყოფილიყოს. და თითქოს ჯინაზე, რაღა იმ დროს გააგზავნეს ბესარაბიაში.... მაქსი გრძნობდა, რომ სწორედ აქ, ამ ადგილებში იწყებოდა მისთვის ჯოჯოხეთი. განა ცოტა რამ სმენია „შინ“ საინტერესო შემთხვევების შესახებ? რა დაავიწყებს იმ დღეს, როცა სინაგოგაში “აზქარას“ (მიცვალებულთა მოსაგონარი ლოცვა) კითხულობდნენ კიშინიოვის პოგრომში დახოცილთა მოსაგონარად? მამაკაცები ქვითინებდნენ, ქალებს გული მისდიოდათ.... ალბათ ჩაგივლიათმატარებლით სარკინიგზო კატასტროფის ადგილას... კარგად მოგეხსენებათ, რომ შეგიძლიატ არხეინად იმგზავროთ, რადგან ერტსა და იმავე ადგილას სარკინიგზო კატასტროფის განმეორება გამორიცხულია. თუმც არ გავიწყდებათ, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ამ ადგილას ვაგონი ვაგონზე ყირა ყირა გადადიოდა. აქ ხალხმა თავი დასდო, აქ ისმოდა ძვლების ლაწა-ლუწი, იღვრებოდა სისხლი. თითქოს ხელახლა იბადები, როცა ამ ადგილს მშვიდობიანად გასცდები.... მაშინ, როცა მატარებელმა ამ ადგილს ჩაუარა, მაქსს მარტო დარჩენა მოუნდა. მერე გადაიფიქრა. სხვა მგზავრებთან ერთად მატარებლიდან ჩამოხტა, ბუფეტში შევიდა და უდარდელ კაცს რომ შეეფერება, იმ ყაიდაზე გადაჰკრა ერთი ჭიქა, ზედ გემრიელი საუზმე დააყოლა, მიირთვა ყველაფერი, რაც ებრაელებს აკრძალული აქვთ, ერთი ჭიქა ლუდიც გადაჰკრა, სიგარა გააბოლა და კიოსკთან მივიდა, სადაც წიგნებსა და გაზეთებს ყიდდნენ. აქ მას თვალში ეცა ყბადაღებული ანტისემიტური გაზეთი არც თუ უსნობიანტისემიტის, კრუშევანისა, კარგად ცნობილი სახელწოდებით“ბესარაბიელი“.

უნდა მოგახსენოთ, იმ ადგილებში მას კაციშვილი თითს არ აკარებს. ადგილობრივი ებრაელები სათოფეზე არ ეკარებიან „უწმინდურს“არაებრაელებს კი მოსწყინდათ უკვე... და აი, განისვენებს ეს გაზეთი დახლზე და ხალხს ახსენებს, რომ არსებობს ამქვეყნად ვიღაც კრუშევანი, რომელსაც ღამეები არ ძინავს იმის ფიქრში, როგორ იხსნას მსოფლიო საშინელი სენისაგან, რომელსაც ებრაელობა ჰქვიან. ალბათ მაქს ბერლანტი ერთადერთი იყო, რომელმაც ჯიხურში ეს გაზეთი მოითხოვა. რისთვის? იქნებ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც კიბოების ჭამა დაიწყო? ნეტავ, რას წერდა ეს ქოფაკი ებრაელების შესახებ?

მოკლედ, ჩვენმა მაქსმა იყიდა გაზეთი, კუპეში შევიდა, საწოლზე გაიშხლართა და გაზეთი სახეზე აიფარა..... ამ დროს ერთმა აზრმა გაუელვა თავში. “ნეტავ რას იფიქრებს ებრაელი ამ გაზეთგადაფარებული კაცის დანახვაზე? ალბათ აზრადაც არ მოუვა, რომ აქ ებრაელი წევს.... აი, იდეა.. არამკითხე თანამგზავრის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. დარჩი მარტო მთელი ღამე და ბატონკაცურად იკოტრიალე საწოლზე“

ასე ფიქრობდა ჩვენი გმირი და რათა მისი ვინაობა არცერთ სულიერს არ გაეგო, “ბესარაბიელი“საგულდაგულოდ აიფარა სახეზე. მერე წარმოიდგინა, თუ როგორ შემოდის ვაგონში ათასნაირი ფუთებით ახოხლილი ებრაელი და საცოდავი უცებ ხედავს, გაშოტილა ვიღაც ოხერი„გადაუფარებია „ბესარაბიელი“და ხვრინავს. ალბათ ვიღაც მებატონეა, სისხლისმსმელი ანტისემიტი მამაძღლი. შეიძლება სულაც თავად კრუშევანი იყოს? და რასაკვირველია საწყალი ებრაელი თავის ფუთებიანად გარბის ვაგონიდან და გზადაგზა იფურთხება. თვითონ მაქსი კი მარტო რჩება საწოლზე როგორც გრაფი. ხა-ხა-ხა! მართლაც კარგი საშუალებაა. გეგმა მოეწონა და სიცილი აუტყდა. უნდა იცოდეთ, რომ თუ კაცი გვარიანად გამოძღა, ერთი ჭიქა ლუდიც გადახუხა, სიგარაც გააბოლა და ბატონკაცურად გამოიჯგიმა კუპეში, თანაც მარტო, გეკითხებით, რატომ არ უნდა იყოს სიცილის ხასიათზე?

მაქს ბერლანტი ჭკვიანი კაცია, მაგრამ ამჯერად შეცდა. ვაგონში მართლაც შეაბიჯა სქელმა, ზორზოხა, აქოშინებულმა მგზავრმა, რამდენიმე ჩემოდანი რომ აეკიდა. იგი მართლაც მივიდა მასთან და შეხედა, როგორ იწვა იგი „ბესარაბიელაფარებული“თუმც, არც გადაუფურთხებია მაქსისათვის და არც არაფერი. იდგა და ათვალიერებდა ამ უცნაურ ანტისემიტს სემიტური ცხვირით (მაქსს ძილში გაზეთი ჩამოსცურებოდა და სამარცხვინო ადგილი, ესე იგი-ცხვირი გაშიშვლებოდა და თვალს ატკბობდა მთელი მისი ბრწყინვალებით) ახალმა მგზავრმა ჩემოდნები დაალაგა, წუთით გაშპა ვაგონიდან და უკან „ბესარაბიელით“ დაბრუნდა. შემდეგ ჩემოდანი გახსნა, ამოალაგა საბანი, ბალიში, რბილი საშინაო ჩუსტები, ოდეკოლონის ფლაკონი, მყუდროდ მოიწყო თავისი კუთხე, საწოლზე გაიჭიმა და სახეზე „ბესარაბიელი“აიფარა. ასე იწვა, მაქსს შეჰყურებდა და ღიმილით აბოლებდა. ასე ჩასთვლიმა. იძინონ ტკბილად, ჩვენს მკითხველს კი მეორე მგზავრის ვინაობას გავაცნობთ.

იგი გენერალია. არა, სამხედრო გენერალი კი არა, არამედ გენერალ ინსპექტორია, ე. ი. ერთ ერთი საზოგადოების აგენტი. გვარად ნემჩიკი. სახელად კი ხაიმი ჰქვია, მაგრამ ხელს აწერს, როგორც ალბერტი. ისე, პეტიას ეძახიან. როგორ, რანაირად გადაიქცა ხაიმი ალბერტად. მაგრამ, სად ხაიმი და სად პეტია? ამისათვის ენობრივ სიბრძნეს უნდა ვეზიაროთ და ლოგიკურად ვიმსჯელოთ. პირველყოვლისა, ხაიმიდან უნდა ამოვაგდოთ ასო „ხ“ და უმორჩილესად ვთხოვოთ ასო „ი“-ს და ასო „მ“-ს დასტოვონ ეს სახელი... ალბერტიდან კი უფრო მეტი. გამოდის „ბერტი“, “ბეტი“-პეტია. ეს კი ისევე, როგორც იხვიდან ინდაური გამოვიდეს....



მოკლედ, ჩვენი ახალი მგზავრი გენერალ ინსპექტორი გახლავთ-სახელად პეტია ნემჩიკი. იგი ისევე მოგზაურობს ქვეყნად, როგორც მაქს ბერლანტი. ხასიათით კი მაქსისაგან სრულიად განსხვავდება. იგი მხიარული, ლაპარაკის მოყვარული, სიცოცხლით სავსე კაცია და თუმცა პეტიას ეძახიან და თანამდებობით გენერალ ინსპექტორია, იგი ისეთივე ებრაელია, როგორც სხვები. უყვარს ებრაელობა და ისტორიებისა და ანეკდოტების მოყოლა ებრაელებზე.

პეტია ნემჩიკი მსოფლიოში განთქმულია თავისი ანეკდოტებით. ცოტა არ იყოს, ამლაშებს იმით, რომ თავს იკლავს„იფიცება და ირჯულება, რომ რასაც ჰყვება თითქოს მას თავად გადახდომოდეს თავს. გადაჭარბება უყვარს, ყველაფერს თავისად ასაღებს. ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვანაირად ყვება. მაპატიეთ და ჩვენში ასეთ კაცს მატყუარას ეძახიან. დიდად უკაცრავად გახლავართ ასთი ვულგარული გამოთქმისათვის ალბათ საკმარისი იყო გვეთქვა, რომ იგი აგენტია და ის, თუ რას წარმოადგენს აგენტი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ....

როცა იგი ვაგონში შევიდა და „ბესარაბიელგადაფარებულ“ მაქსს მოჰკრა თვალი, ცხვირზე იცნო, რომ ამ ვაჟბატონს კრუშევანთან არაფერი ესაქმებოდა. ოი, ანეკდოტი, ახალი ანეგდოტი! ღვთის წყალობით კაი ბლომად მასალა მექნება მოსაყოლად! სიამოვნებისაგან ხელები მოიფშვნიტა, სადგურზე გაიქცა, გაზეთი იყიდა, თვითონაც ჩამოიფარა სახეზე და ჩაიძინა.

მოდით ახლა 2 „ბესარაბიელს“ მოვეშვათ და 1-ს მივხედოთ. მაქს ბერლანტმა ღამე ცუდად გაატარა. მოკლედ, ნაირ-ნაირმა საჭმელმა, რომელსაც ასე გვარიანად შეექცა სადგურზე, “კაი დრო გაატარებინა“. მთელი ღამე საშინელ სიზმრებს ხედავდა, როცა თვალი გაახილა, სანთლის შუქზე ადამიანის გამოსახულება შენიშნა. ვიღაც გაჭიმულა საწოლზე და მასავით „ბესარაბიელი“ აუფარებია პირზე. ჩვენი მაქსი განცვიფრებული და თავზარდაცემულია. ჰგონია, რომ თვითონაა ეს კაცი. გრძნობს, რომ თმა ყალყზე უდგება. თანდათანობით გონს მოდის ჩვენი მაქსი და არჩევს, რომ იმ საწოლზე თავად კი არა, სხვა წევს. მაგრამ, ვინაა და საიდან მოეთრა ნეტავ? სული მისდის, სანამ მის ვინაობას გაიგებდეს და თანაც რაც შეიძლება სწრაფად. იგი შეინძრა და გაზეთმაც გაიშრიალა-უცნობიც შეინძრა და მისმა გაზეთმაც ბანი მისცა. მაქსი გაირინდა და და დაჟინებით მიაცქერდა მას. იგი გრძნობს უცნობის დამცინავ მზერას. ეს ორი „ანტისემიტი“სულს ღაფავს ცნობისმოყვარეობისაგან, რათა გაიგოს ვინ არის მეორე ან რას წარმოადგენს, მაგრამ თავს იკავებს და კრინტსაც არ ძრავს. ბოლოს, პეტიას ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში. პეტიამ ჩუმად ჩაიღიღინა ებრაული სიმღერის ნაწილი:

თაროზე სანთელი
ოდნავლა ბჟუტავს
მაქსმა ბანი მისცა და ხმადაბლა ჩაიღიღინა
დახუთულია ჰაერი სახლში
ორივე „ანტისამიტი“ წამოჯდა, გვერდზე მოისროლა „ბესარაბიელი“ და ერთად ამთავრებს პოპულარული ებრაული სიმღერის უკანასკნელ პწკარებს
იქვე ჩამომსხდარ თორის მოყვარულთ
ანბანს ასწავლის
მოხუცი რებე.

თარგმანი ეთერ ფიჩხაძისა

ლევან შემეში

მეგობრის ხსოვნას

საქართველოს ებრაელობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება — გაზეთის „დავითის ფარი“ რედაქტორი და გამომცემელი; კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედებითი გაერთიანების — „თარბუთი“ — პრეზიდენტი სიმონ არონის ძე კრიხელი.

სიმონ კრიხელი დაიბადა 1940 წლის 3 მაისს ქ. თბილისში. წარმატებით დაამთავრა 43-ე საშუალო სკოლა; სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1964 წელს - რკინიგზის ინჟინერ-მშენებელის სპეციალობით. მუშაობდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში ლაბორანტად, განყოფილების უფროსად; მიიღო მრავალი დიპლომი და სიგელი, საავტორო უფლების 28 სერთიფიკატი.

1996 წლიდან ოჯახით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნიუ იორკში. 2003 წელს დააარსა აშშ-ი ქართველ ებრაელთა თემის პირველი ქართულენოვანი გაზეთი „დავითის ფარი.“ შემოიკრიბა თემის აქტიური წევრები. ქართულ და რუსულ ენებზე აშუქებდა საქართველოს, ისრაელის, ამერიკის ისტორიის საკითხებს და აქტუალურ მოვლენებს, ქართველ ებრაელთა თემის ცხოვრებას. აღსანიშნავია განყოფილება «Тбилисцы» („თბილისელები“ - გამოიცა 61 ნომერი). გაზეთი 18 წლის განმავლობაში სისტემატურად გამოდიოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ბ-მა სიმონმა გამოავლინა ჟურნალისტური უნარი — განსაკუთრებული ენთუზიაზმით, დაუზოგავი შრომით, საერო საქმისადმი სიყვარულით. აღსანიშნავია მისი მეუღლის - ქალბატონი ნატალიას (ნატაშას) და ქალიშვილების - ეთერის და ლიას გულითადი და კვალიფიციური თანადგომა.

ბოლო წელიწადნახევრის ნომრები პანდემიის გამო — ელექტრონული სახით გამოდიოდა. ორი სიახლით საინტერესოა უკანასკნელი — 311-ე ექსპერიმენტული ნომერი: გაზეთის გვერდები მკითხველს შეუძლია გადაფურცლოს და (ირაკლი კრიხელის წინადადებით და საერთო ძალისხმევით) ზოგიერთ სტატიას დამატებული აქვს თემატურად მისადაგებული ხმოვანი ვიდეორგოლები.

1997 წლიდან ნიუ იორკში ფუნქციონირებს საქართველოს ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია (ამჟამად - შემოქმედებითი გაერთიანება) „თარბუთი“. „თარბუთს“ სათავეში ედგნენ ღირსეული პრეზიდენტები: უშანგი რიჟინაშვილი, ილია იოსებაშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, სოსო ჯინჯიხაშვილი, შემდგომ, კვლავ - ილია იოსებაშვილი. აღსანიშნავია სალოცავის რაბების - აბრაჰამ აშვილის, აჰარონ ხენის, სალოცავის პრეზიდენტების: მიხეილ კრიხელის, ბენიამინ ატანელოვის, რომან ზაკის, იააკობ ელბერგის, ამჟამინდელი პრეზიდენტის - ბ-ნი იოსებ პატარკაციშვილის თემის კულტურული ცხოვრებისადმი თანადგომა, „თარბუთის“ ხელმძღვანელობისა და წევრთა მიმართ მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულება.

გერცელ ბააზოვი 1923 წლის სექტემბერში გაზეთში „ტრიბუნა“ წერდა: „ტფილისში თავს იყრიან საქართველოს ებრაელთა ინტელიგენციის დაფანტული ძალები და მათ მოსდით შესანიშნავი იდეა „თარბუთის“ დაარსებისა... „თარბუთი“ ებრაული სიტყვაა და ნიშნავს „კულტურას“... „თარბუთი“ უნდა გადაიქცეს იმ ცხოველმყოფელ ნაკადად, საიდანაც საქართველოში მცხოვრებ ყოველ ებრაელს საშუალება ექნება შესვას წყარო სინათლის...“

სწორედ ამისთვისაა მოწოდებული „ამერიკული“ „თარბუთიც“: შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა და გადავცეთ ჩვენს, უკვე ინგლისურად მოაზროვნე მომავალ თაობებს - თუ „ვისი გორისანი“ ვართ...

ჩვენს თემს ახსოვს „თარბუთის“ მიერ ორგანიზებული მრავალი საგულისხმო შეხვედრა-საღამო, ლექცია-საუბარი და საპატიო სტუმრების მიღება-მასპინძლობა.

2015 წ. „თარბუთის“ ხელმძღვანელობა ბატონ სიმონ კრიხელს მიენდო, რამაც გაერთიანების წევრთა შემოქმედება, მრავალწახნაგოვანი გახადა. ბატონი სიმონის, მისი მეუღლის და „თარბუთის“ საინიციატივო ჯგუფის მიერ ებრაელთა ისტორიაზე, წარსულისა და აწმყოზე შექმნილმა საინტერესო ფილმმა, 40-ზე მეტმა ვიდეორგოლმა შთამბეჭდავი შემეცნებითი დატვირთვა შესძინა შესანიშნავად ჩატარებულ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია ბატონი სიმონის განსაკუთრებული ღვაწლი; მისი მამა - არონ მიხეილის ძე კრიხელი განათლებული (ფილოლოგი), ნიჭიერი პიროვნება იყო. მათი ოჯახი ქ. თბილისის ქართველ ებრაელთა თემის ორგანულ და აქტიურ ნაწილს წარმოადგენდა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისში ბევრი ისტორიული მოვლენა მოხდა: რევოლუცია, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადება, ბოლშევიკების შემოსვლა; ცნობილი ებრაელი პიროვნებების მოღვაწეობა, 102-ე შრომის სკოლის დაარსება, საქართველოს ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმის ჩამოყალიბება (ხელ-ლი არონ მეირის ძე კრიხელი), ექპედიციები, გამოფენები, „შრომების“ გამოქვეყნება და სხვა მრავალი. ბატონი არონ მიხეილის ძე კრიხელი აგროვებდა საყურადღებო მასალებს, აკეთებდა ჩანაწერებს - შეიქმნა ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების საინტერესო ისტორიული არქივი, რაც მრავალი წლის მანძილზე ინახებოდა მათ ოჯახში. შემდგომში, სიმონ კრიხელის და მისი ოჯახის წევრთა თაოსნობით, შეიკრიბა მასალები და 2014 წელს „გაზეთ „მენორას“ ბიბლიოთეკამ“ (მწერალ გ. ბათიაშვილის რედაქციით) გამოსცა წიგნად „წარსულის სურათები“. წიგნი დაწერილია მაღალმხატვრულ დონეზე, ქართველ ებრაელთა კილოკავების დაცვით.

ცნობილმა მხატვარმა შალომ კობოშვილმა - საოცარი ნახატებით, ხოლო არონ კრიხელმა - შესანიშნავი ესეებით შეგვინარჩუნეს და მომავალ თაობებს დაუტოვეს ქართველ ებრაელთა ყოფის რეალური ეთნოგრაფიული დოკუმენტები.

ამ წიგნით ბატონმა სიმონმა და მისმა ოჯახმა უკვდავჰყო არონ მიხეილის ძე კრიხელის ნათელი ხსოვნა...

2017 წელს, პროფ. რობერტ ფინხაზოვმა, სვეტლანა დანილოვამ და სიმონ კრიხელმა დაწერეს და გამოსცეს საინტერესო წიგნი „Евреи Бухарские, Горские, Грузинские в водовороте истории“. წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სიმონ კრიხელი სიცოცხლის ბოლო თვეებში ინტენსიურად მუშაობდა ინტერაქტიურ ელექტრონულ ენციკლოპედიაზე „ქართველი ებრაელები ამერიკაში“, მაგრამ...

7 ივნისს ბატონი სიმონ არონის ძე კრიხელი ბოლო გზაზე გავაცილეთ. მისი ცხედარი ამერიკის მიწამ მიიბარა...

ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად, ნიუ იორკის ქართველ ებრაელთა ჯამაათიც ჭირისუფლობდა. გულისტკივილი და თანაგრძნობა გამოთქვა მრავალმა მეგობარმა საქართველოდან, ისრაელიდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. სამგლოვიარო განცხადებები გააკეთეს „The Bukharian Times“-მა, რადიო „Reka“-მ, სსფ „გულთა კავშირმა“.

სულის მოსახსენიებელი „სეყუდა“ (სუფრა) ჩვენი სალოცავის სწორედ იმ დარბაზში გაიმართა, რომელშიც „თარბუთი“ თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე შესანიშნავ შეხვედრა-საღამოებს, იუბილეებს და ლექცია-საუბრებს მართავს და რომელშიც მრევლი ბატონი სიმონის საინტერესო ფილმებს და ვიდეორგოლებს ეცნობოდა...

თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში დარჩა „თარბუთის“ პრეზიდენტის და „დავითის ფარის“ რედაქტორის, ჩვენი სიომას მომღიმარე სახე...

მენუხათო ბე განდ ყედენ!

ნოდარ ფალაგი
(პარლაგაშვილი)
ისაკ (ირაკლი) კრიხელი
ნიო-იორკი

„იქ ნათელი დაადგესა...“

არცთუ ხშირად, მაგრამ პრესის ისტორიაში ასეთი რამ მომხდარა და როცა მომხდარა, ე.ი. როცა ადამიანს უგრძვნია აუცილებლობა საინფორმაციო საშუალების არსებობისა, მისი ბრძოლა მეტ-ნაკლები წარმატებით დაგვირგვინებულა. სიმონ (სიომა) კრიხელი, ვიდრე საინფორმაციო საშუალების გამოცემის აუცილებლობას იგრძნობდა, სულ სხვა სფეროს მსახურებდა — სხვა საკითხები გახლდათ მისი ფიქრისა და გატაცების საგანი, ცხადია, საზრუნავიც. ჟურნალისტიკისაგან შორს იდგა, მაგრამ დადგა ის ბედნიერი და აუცილებელი ჟამი, როცა მან განჭვრიტა, თუ რა სჭირდებოდა ნიუ-იორკში თავმოყრილ ქართველ ებრაელობას. ეს დღე სიომა კრიხელის (და არა მხოლოდ მისი, შემიძლია ვთქვა ნიუ-იორკში თავმოყრილი ქართველი ებრაელობის) ცხოვრების იღბლიან დღედ მესახება. ჯამაათს უკვე გაკეთებული ჰქონდა უმთავრესი საქმე — ქვინსში ააშენეს დიდებული ნაგებობა — ღვთის სადიდებელი სახლი — ბეით ქნესეთი, ქვინსში ჩამოყალიბდა ხელოვანთა — მხატვართა, მუსიკოსთა, ჟურნალისტთა მცირერიცხოვანი, მაგრამ ანგარიშგასაწევი ჯგუფი, თემს აუცილებლად სჭირდებოდა საინფორმაციო — ამბის გავრცელების, ხმის მიწვდენის საშუალება. და დაიწყო ზრუნვა. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სიმონ კრიხელი ფიქრობდა თავისი თემის ყოველდღიურობაზე, ფიქრობდა იმაზე, რაც ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ყოფას უფრო ორგანიზებულს, თანმიმდევრულსა და თვალსაჩინოს გახდიდა.

და მან გადადგა თავისი სიცოცხლის უმთავრესი ნაბიჯი — დაიწყო გაზეთ „დავითის ფარის“ გამოცემა. საყოველთაოდ ცნობილია: გაზეთი არა მხოლოდ ჟურნალისტიკის, ეკონომიკის სფეროსაც მიეკუთვნება: ორი ათასი ქართველობა გაზეთს ვერ აარსებებდა, ამიტომ „დავითის ფარი“ რუსულ-ქართულენოვანი გახლავთ.

მახსოვს, „დავითის ფარის“ ყრმობის წლებში მისი რედაქტორის განცდები. სიომა გულისტკივილით საუბრობდა არა მხოლოდ ფინანსურ გასაჭირზე, იმაზეც მავანსა და მავანს, როგორ სურდა, გაზეთი თავისი ზეგავლენის ქვეშ მოექცია. გაუძლო, მაგრამ დღეს გამოჩნდა იმ წლების მოგერიებული, თუ მოუგერიებელი შეტევების შედეგი?

გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ის, რომ სიომას გვერდით ედგა ერთობ ყოჩაღი მეუღლე — ნატაშა, რომელიც არა მხოლოდ როგორც მეუღლეს ედგა გვერდით, რედაქტორსაც. ნატაშამ დიდი კვალი დაამჩნია „დავითის ფარის“ ცხოვრება-არსებობას.

„დავითის ფარმა“ სიცოცხლე უნდა განაგრძოს. მჯერა ნიუ-იორკის ჯამაათის. სიმონ კრიხელს — სიომას, ჩვენს უწყინარ, მშვიდ მეგობარს კი, ვუსურვოთ დაბრძანება იქ, სადაც ღირსეულ ადამიანთა სულები იკრიბებიან — განედენში — როგორც ნათქვამია, „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“...

გურამ ბათიაშვილი

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003